# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 14 ივლისი, 2010 წელი.

№131 (6497)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.



## დომხალი — სახელმძღვანელო



6 7 9 ვინ და რატომ დასცინის ჩვენს სტუდენტობას?!



ლევან ალექსიძე:

## მოსკოვში ჩვენ ის სახედრები ვგონივართ, ცხვირწინ თივას რომ ჩამოუკიდებენ... 3




## რა შეიცვალა სააკაშვილისთვის 2002 წლიდან დღემდე და რატომ გახდა ასეთი „უმნიშვნელო“ მაშინ საარსებოდ მნიშვნელოვანი გაზსადენი? 3

## როგორ დაითრია ხელისუფლებამ „თბილავიამშენი“

დედას გეფიცებით, არ წაურთმევიათ, ჩვენი ნებით იჩუქესო... 5

## დღემდე რატომ არ არის ლაგოდეხში, როგორც საზღვრისპირა რაიონში პატრული? არადა გვწერენ, რომ იქ სრული ქაოსი და განუკითხაობაა... 5



## კლინტონის განცხადებამ თბილისიცა და მოსკოვიც ააფორიაქა 8

## გაფერმკრთალებული ლეგენდა აფრასიძეებზე 2

## პატრიარქის 700 ახალშობილი ნათლული

## რატომ დააკავეს მოძრაობა „არას“ წევრები?! 2

◎ „სახალხო სასამართლო“

# გაფერმკრთალებული ლეგენდა აფრასიძეებზე



**აფრასიძეების საქმე და, განსაკუთრებით, მათ წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ბურუსითაა მოცული. ბევრმა ისიც არ იცის, კონკრეტულად რას ედავებოდა სახელმწიფო ამ ოჯახს, რატომ გახდა საჭირო მათი ასეთი ფორმით (სპეცოპერაცია) აყვანა და, საერთოდ, როგორ შეიქმნა ლეგენდა აფრასიძეებზე.**

ამ მოტივით ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „სახალხო სასამართლოში“ აფრასიძეების საქმის მოსმენა მიმდინარეობს და ამჟამად ფაქტების გამოკვლევისა და დასაშვებობის სტადიაზე იმყოფება, გუშინდელ მოსმენაზე ბრალდების მხარის მოწმედ გამოძახებული იყო პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ბევრად ადრე იცნობდა ევგენი აფრასიძეს და მისი აყვანის ოპერაციაშიც მონაწილეობდა.

— ევგენი აფრასიძე, თავისი სიძის, დის ქმრის, მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. საქმე ისაა, რომ ევგენის დას ქმარი ცუდად ექცეოდა. როცა ეს უკანასკნელი მოკლეს, ეჭვი ევგენიზე მიიტანეს და ამ ბრალდებით 16 წელი იძებნებოდა. ამ ხნის განმავლობაში იყო მისი დაჭერის რამდენიმე მცდელობა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, მაგრამ ევგენი ყოველთვის ახერხებდა რომ ხელიდან დაგვსხლტომოდა, რადგან კატეგორიულად აგვიკრძალეს მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, საჭირო გახდა ახალი გეგმის მოფიქრება. იმ გეგმისა, რომლითაც ოდნავ მოგვიანებით ევგენი აფრასიძე დავაკავეთ, შემდგენელი მე გახლდით და უშუალოდ ვახორციელებდი. წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, გეგმის მიხედვით თავი ცემენტის გამყიდველად გავასაღე (ვიცოდი, რომ სახლს აშენებდა და სჭირდებოდა) და ასე მოვახერხე მასთან არათუ დაახლოება, არამედ დავმეგობრდით კიდეც. საბოლოოდ, 1980 წელს, ევგენი აფრასიძე დავაკავეთ, ის გაასამართლეს, თუმცა მხოლოდ იარაღის უკანონოდ ტარების გამო, რადგან სიძის მკვლელობაში მისი ბრალეულობა არ დამტკიცდა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სიძე ევგენის მამას მოეკლა (მან შემდეგ თავი მოიკლა) და ევგენი მამის დაცვას ცდილობდა. დაკავების შემდეგ მას მხოლოდ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ციხიდან გაცილებით ადრე გამოვიდა. ხაზს გავუსვამ იმ ფაქტს, რომ იმ 16 წლის განმავლობაში ევგენი აფრასიძეს ერთი უმნიშვნელო დანაშაულიც კი არ ჩაუდენია — გაიხსენა სასამართლოს პროცესზე მოწმედ გამოცხადებულმა ვახტანგ ჯაფარიძემ.

მანვე დაადასტურა ის ფაქტი, რომ ლევან კალაძის გამოსასყიდად მოთხოვნილი და შემდეგ ოჯახისთვის თალლითურად გამოძალვული თანხა 200 000 დოლარი ნამდვილად აიტანეს სვანეთში ომეხ აფრასიძესთან, რომელსაც მხოლოდ 10 000 დაუტოვეს, იმისთვის, რომ მას მოეძიებინა ინფორმაცია რეალურად ვის ჰყავდა გატაცებული ლევან კალაძე და სად ჰყავდათ დამალული. მას შემდეგ, რაც 2006 წლის თებერვალში ლევან კალაძის გატაცების საქმე გაიხსნა, აფრასიძეების კავშირი ამ გახმაურებულ გატაცებასა და მკვლელობასთან არ დადასტურდა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ ასევე მტკიცებულების სახით წარმოადგინა სტუდია „რეპორტიორის“ მიერ გადაღებული 40-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „მიართვით მინისტრს კუბდარი“, რომელშიც ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევს უმცროსი ომეხ აფრასიძის ჩვენება, რომელმაც საკუთარი თვალით დაინახა როგორ ააცალეს კისრიდან ბიძამისს (ომეხ აფრასიძესძ ოქროს ჯაჭვი.

როგორც პროცესზე გახდა ცნობილი, ომეხ აფრასიძე სპეცოპერაციამდე რამდენიმე კვირით ადრე თავად აპირებდა სამართალდამცავ სტრუქტურებს ჩაბარებოდა, თუმცა აღარ დასცალდა და მისი ძებნილობა თავად და ოჯახსაც განადგურების ფასად დაუჯდათ.

აღსანიშნავია, რომ აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ არც წინასწარ და არც სასამართლო გამოძიება არ ჩატარებულა, ისე მიუსაჯეს შმაგი აფრასიძეს 18, ხოლო გოჩას 20-წლიანი პატიმრობა.

„სახალხო სასამართლო“ აფრასიძეების საქმის მოსმენას 15 ივლისს გააგრძელებს.

**ანა წიწილაშვილი**

◎ უკანონობა

# რატომ დააკავეს მოძრაობა „არას“ წევრები?!

**ქართული პოლიცია რომ პოპულარობის ზენიტშია, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება. საქართველოში რომ იდეალური არაფერია, დიდი მტკიცება არ სჭირდება და არც ეს სტრუქტურა მუშაობს ალბათ საათივით. იდეალურს ვერ უწოდებ მაშინ, როცა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციელი აპატიმრებს მოქალაქეს.**

11 ივლისს, ღამის სამ საათზე, პოლიციის ისანი-სამგორის მე-5 განყოფილების უფროსის მოადგილემ დააკავა მოძრაობა „არას“ ხელმძღვანელი ლევან ჩიტაძე და მოძრაობის წევრი ლევან კოჭლოშვილი.

ლევან ჩიტაძის განცხადებით, პოლიციელმა ლევან მელაძემ, რომელიც სამოქალაქო ფორმაში იმყოფებოდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ორივე დაკავებულს, ლევან ჩიტაძემ განმარტება მოითხოვა თავდაპირველად მისთვის უცნობი პიროვნებისგან, ვინ იყო და რატომ აყენებდა მათ შეურაცხყოფას, რის შემდეგაც ლევან მელაძემ მოძრაობის წევრებს მოსთხოვა ავტომობილში ჩაჯდომა, რომლის საჭესთანაც იჯდა პოლიციის ფორმიანი თანამშრომელი ლონგინოზ ბოლქვაძე. როგორც ჩიტაძე აცხადებს დამკავებლისა და საჭესთან მჯდომი პიროვნების ვინაობა მათთვის ცნობილი მხოლოდ მე-5 განყოფილებაში გადაყვანის შემდგომ გახდა.

**ლევან ჩიტაძე:** სამგორის მე-5 განყოფილებაში გადაყვანის შემდეგაც არაერთხელ მოგვაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა ლევან მელაძემ. ამავე განყოფილებაში შეითხზა ისტორია, თითქოს ლონგინოზ ბოლქვაძე და სოსო თათენაშვილი აწარმოებდნენ შემოსვლას, რა დროსაც მათ, ვითომდა საეჭვო მდგომარეობაში „მჯდომი“ პირები შეამჩნიეს, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. ლევან კოჭლოშვილს დაკავებისას თან აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღის ფორმის სანთებელა, რაზეც სოსო თათენაშვილმა განაცხადა, რომ ამ სანთებლით შეეძლოთ ადამიანის დაყაჩაღება და დაამატა რომ მათთვის შეეძლო ნებისმიერი საქმის შეტენვა.

ლევან ჩიტაძის განმარტებით, პოლიციამ მათი უფლებები პირველად მაშინ დაარღვია, როცა ისინი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელმა დააკავა, მან არ წარუდგინა არანაირი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა მის ვინაობას, დაკავებულებს არ განემარტათ დაკავების მიზეზი, დაკავებისთანავე ჩამოერთვათ მობილური ტელეფონები და პირადი საბუთები. დაკავებიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გახდა ცნობილი ოფიციალური მიზეზი და მხოლოდ 2 საათის შემდეგ მიეცათ ადვოკატებთან დარეკვის საშუალება. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნინო შარაძემ მოძრაობა „არა“-ს წევრები დამნაშავედ ცნო და ლევან ჩიტაძეს და ლევან კოჭლოშვილს დაეკისრათ ადმინისტრაციული ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

მოძრაობა „არას“ წევრები თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ, თავიანთ დაკავებას პოლიტიკურ მოტივად თვლიან და სარჩელის შეტანას აპირებენ იმ ოთხი პოლიციელის მიმართ, რომლებმაც მათ დაკავებაში მიიღეს მონაწილეობა.

**მერი ქურასბედიანი**

◎ სადღესასწაულო წირვა

# პატრიარქის 700 ახალშობილი ნათლული

გუშინ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. წირვის პარალელურად ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე საყოველთაო ნათლობა შესრულდა. ამ დღეს, რიგით მე-12 ნათლობას, პატრიარქის ნათლულების ვრცელ სიას კიდევ 700 ახალშობილი შეემატა. საღამოს 7 საათზე სვეტიცხოველში ახალი ნათლულები კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა.

საპატრიარქოდან სვეტიცხოველში, წირვაზე დასასწრებად, მრევლს უფასოდ გამგზავრების საშუალება ჰქონდა.

13 ივლისს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქრისტეს 12 მოციქულის ხსენების დღე აღნიშნა. ამ დღესასწაულს განსაკუთრებულად მცხეთა ზეიმობს, რადგან ძველი სატახტო ქალაქის პირველი საპატრიარქო ტაძარი — სვეტიცხოველი სწორედ 12 მოციქულის სახელზეა აგებული.

სვეტიცხოველი ქართველი ერის უპირველესი სიწმინდეა, სადაც არის დაფლული კვართი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სვეტიცხოველი ოდითგანვე, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა საქართველოს რელიგიურ ცენტრს, რადგან იგი იყო საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს ეკლესიის მეთაურ კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სწორედ სვეტიცხოველში აღესრულებოდა საქართველოს მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, ქართველ უფლისწულთა ნათლობა, ჯვრისწერა. აქ ხდებოდა ქართველ მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა და კათოლიკოს-პატრიარქთა დაკრძალვა. ტაძარში დღემდე შემორჩენილია რამდენიმე მათგანის საფლავი.



მტერთა შემოსევებისას აქ აფარებდა თავს მცხეთისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა. მდიდარი ბიბლიოთეკით სვეტიცხოველი მწიგნობრობის გავრცელების კერასაც წარმოადგენდა. ეს წიგნები სხვა ძვირფასეულობასთან ერთად ინახებოდა ტაძრის კედლებში მოთავსებულ სამალავ ოთახებში. აქ დღემდე აღესრულება კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაცია და მღვდელმთავრად ხელდასხმა.

სვეტიცხოვლის დღევანდელი ნაგებობა XI საუკუნეს მიეკუთვნება და წლეულს ვდღესასწაულობთ მის ათასწლოვან იუბილეს. ამიტომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მცხეთის ამ დიდებულ საპატრიარქო ტაძარში წლეულს ყოველდღიურ წირვა-ლოცვას მორიგეობით აღავლენს ყველა მღვდელმთავარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ მოვლენა

# ანათებს ვარსკვლავი „ზურაბ ანჯაფარიძე!“



**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და პირადად ამ თეატრის მმართველის დავით საყვარელიძის მეოხებით ქართული კულტურისთვის უპრეცედენტო მოვლენა განხორციელდა — თბილისის ოპერის თეატრის წარდგინებით და საერთაშორისო ასტრონომიული ასოციაციის გადაწყვეტილებით ჩვენი გალაქტიკის ერთ-ერთ ვარსკვლავს დიდი ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელი მიენიჭა.**

სერტიფიკატი ვარსკვლავისა, რომელიც ამიერიდან **„ზურაბ ანჯაფარიძედ“** არის სახელდებული, 12 ივლისს საზეიმოდ გადაეცა ზურაბ ანჯაფარიძის სახლ-მუზეუმს. დავით საყვარელიძემ ასევე მუზეუმს გადასცა ბატონი ზურაბის ფრაკი, რომლითაც მომღერალი შესანიშნავად ასახიერებდა გერმანს ჩაიკოვსკის „პიკის ქალში!

ზურაბანჯაფარიძის და მისი ვარსკვლავის დაარსებას მიეძღვნა ვერდის „ტრუბადურის“ შესრულება ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდის, ორკესტრის, სოლისტების, ამერიკელი ტენორის მარკ ჰელერისა და იტალიელი დირიჟორის ჯანლუკა მარჩიანოს მონაწილეობით ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში.

**ალუდა ნიქაბაძე**

◎ ინფორმაცია

## აღმოჩენილია დავით აღმაშენებლის უცნობი ავტოგრაფი

**თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში დავით აღმაშენებლის დღემდე უცნობი ავტოგრაფი აღმოაჩინეს. ცნობილი ქართველოლოგის ნიკო მარის არქივის დამუშავებისას სპეციალისტებმა ფოტოს მიაგნეს, რომელზეც ორი ხელნაწერია აღბეჭდილი.**

ერთ-ერთი ორსტრიქონიანი დღემდე უცნობი მხედრული ხელნაწერია და როდესაც იგი პროფესორ ვალერი სილაგავას „ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფებს“ შეადარეს, აღმოჩნდა, რომ იგი საქართველოს მეფეს დავით IV აღმაშენებელს ეკუთვნის.

თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში ქართველი მეფის დღემდე უცნობი ხელნაწერის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა.

ფოტოასლი 1902 წელს სინას მთის ექსპედიციის შედეგებზეა გადაღებული, სადაც ერთ-ერთი ხელნაწერის ბოლოში მეფე დავით IV-ს მიერ ორსტრიქონიანი მინაწერია, სადაც აღნიშნულია, რომ იგი სინას მთაზე თავის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნს აგზავნის. ფოტო ორიგინალთანაა გათანაბრებული, რადგან ხელნაწერი დაკარგულია.

დისკუსია

# ჩვენ კი გადავდებთ რუსეთს გვერდზე, მაგრამ ის გადავა?

## ანუ რა შეიცვალა მიხეილ სააკაშვილისთვის 2002 წლიდან დღემდე და რატომ გახდა ასეთი „უმნიშვნელო“ მაშინ საარსებოდ მნიშვნელოვანი გაზსადენი?

*საკანონმდებლო ორგანო უკვე არდადეგებზე უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ არჩევნების გამო მას მუშაობა ზაფხულის ცხელ დღეებშიც უწევს. თუმცა ასეთი აქტიური და ქმედითი, შეიძლება ითქვას, დეპუტატები ჯერ არ ყოფილან, ეს იქნებ დადებით ფაქტადაც აღქმულიყო, რომ არა ერთი გარემოება – სწორედ რიგგარეშე, საგანგებოდ მოწვეულ სესიებზე, დაჩქარებული წესით მიიღება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. მათ შორის მოხვდა იურიდიული კომიტეტის ინიცირებული კანონპროექტი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი იმ ობიექტების ნუსხაში აღარ არის, რომელთა პრივატიზებაც დაუშვებელია. გუშინდელ სხდომაზე ამ საკითხს მწვავე დებატები მოჰყვა. თუმცა იქამდე ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ დროული ინიციატივა გამოიჩინა და „თბილისი-მარიოტში“ მრგვალ მაგიდასთან მოუყარა თავი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, დარგის ექსპერტებს, რომელთა კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწია იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ლაშა თორდიას.*

კანონმდებლის არგუმენტები ასეთია: კანონპროექტის ინიცირება მხოლოდ კონცეპტუალურმა ხედვამ გამოიწვია. თუკი შეიძლება, რომ ელექტროენერგია, წყალი, ნავთობსადენი იყოს კერძო მესაკუთრის ხელში, რატომ არ შეიძლება მათ ნუსხაში მაგისტრალური მილსადენიც მოხვდეს? რაც შეეხება რისკებს, ამ ობიექტებს ომის დროსაც კი არ დამუქრებია საფრთხე.

ამ ლოგიკით თუ მივყვებით, რატომ არ შეიძლება გასაყიდ ობიექტთა სიაში მოხვდნენ საჯარო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები? – იკითხეს ოპონენტებმა, თუმცა კითხვა უპასუხოდ დარჩა.

ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ისაუბრა იმაზე, რომ მილსადენს ქვეყნისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ჩვენ სწორედ იმით ვართ მიმზიდველი მსოფლიოსთვის, რომ სატრანზიტო ფუნქცია გვაკისრია. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გაზსადენს განვიხილავთ, ეკონომიკა, პოლიტიკა და რუსეთი განუყოფელი მცნებებია. რუსეთის ხსენება დიდად არ ესიამოვნა პარლამენტარ ლაშა თორდიას, თუმცა მარტივად შეეცადა აეხსნა, რომ ტექნიკურად რუსეთი იმაზე მეტს ვერ გააკეთებს, ვიდრე დღეს მანიპულირებს. ჩვენ არა ვართ გაზსადენზე დამოკიდებული, მხოლოდ გამტარები ვართ, მაგრამ თუ იმის თქმა გინდათ, რომ გაზსადენი იმისთვის არის საჭირო, რომ სომხებს გაზი გადავუკეტოთ, ეს სხვა საქმეაო. რა თქმა უნდა, ექსპერტებს მსგავსი აზრი თავში არ მოსვლიათ, უბრალოდ ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნათლად დაენახვებინათ ხელისუფლებისთვის, რაოდენ სახიფათოა ასეთი სტრატეგიული ობიექტის გაყიდვა.

**მემარჯვენე დავით გამყრელიძის თქმით კი უნდა შევეგუოთ აზრს, რომ თუკი გაზსადენი გაიყიდება, მას უთუოდ „გაზპრომი“ იყიდის. ამ უკანასკნელთან კი მხოლოდ კანონების ენით საუბარი გაჭირდება.**

ძნელია ამაში დაარწმუნო ნაციონალები, ვინაიდან ქვეყნის ენერგეტიკის 92 პროცენტი (ამას ოპოზიციონერი დეპუტატები ამბობენ) რუსეთის ხელშია. რატომ არის რუსეთი სანდო პარტნიორი ეკონომიკაში, თუკი ის პოლიტიკური კუთხით არასტაბილური პარტნიორია და თანაც მტერი? (ეს ნაციონალების ენითძ. ეს, ალბათ, ის თავსატეხია, რომელიც მაინცდამაინც აგათა კრისტობას არ მოითხოვს – ქვეყანას ფული სჭირდება და არა მარტო ქვეყანას...

არავის დაუთვლია, რა სარგებელს იღებს ქვეყანა დღეს ამ მაგისტრალიდან. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, მილში გამავალი გაზის 10 პროცენტი უფასოდ ერგება. მაგრამ თუკი ის ლონდონის ბირჟაზე ფასიან ქაღალდებზე გაიყიდება, ეს იქნება ერთჯერადი სარგებელი და არა გრძელვადიანი სტრატეგია. ექსპერტები ზოგადად ასეთი ობიექტის გაყიდვის წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა რისკფაქტორი ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე და თანაც მეპატრონე არ უნდა იყოს 49 პროცენტზე მეტის მფლობელი. ამაზე თითქოს მთავრობაც თანახმაა, მაგრამ ოპოზიციონერი პარლამენტარები მთავრობას არ ენდობიან, ამიტომ გარდამავალ დებულებებში ასეთი მუხლის შეტანას მოითხოვენ, რაზეც ჯერჯერობით ხელისუფლების დაყოლიება ვერ შეძლეს.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია მესაკუთრის გამჭვირვალობის თემა. არც ერთი ენერგეტიკული ღირებულების რესურსის მფლობელის ვინაობა საჯარო არაა საქართველოში. ხშირად ოფშორული კომპანიებად არიან რეგისტრირებულნი, რომლის სათავეშიც არავინ იცის, ვინ დგას, ან თუკი მესაკუთრე ცნობილია, გასაიდუმლოებულია ხელშეკრულების პირობები. არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მაგალითად, „თბილის წყლის“ მეპატრონე, ან „ვარციხეჰესის“, თუნდაც, „ჭიათურმანგანუმის“. ეკონომიკის სამინისტრომ არც იცის ეს უკანასკნელი, გაყიდულია თუ არა. არადა, ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი არველაძემ საჯაროდ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ალბათ, ყველას ახსოვს „ენგურჰესთან“ დაკავშირებული დეტალები. ჟურნალისტები წელიწადნახევარია სასამართლოს გზით ცდილობენ მოიპოვონ მემორანდუმის ტექსტი, მაგრამ უშედეგოდ.

**რატომ იყიდის გაზსადენს მაინცდამაინც „გაზპრომი“? თუნდაც რუსეთის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, თანაც ნურავის დაავიწყდება ის დოქტრინა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო რუსეთის ხელისუფლებამ. დოქტრინის მიხედვით, თუ რუსეთის ენერგეტიკას საფრთხე შეექმნება ამა თუ იმ ქვეყანაში, სახელმწიფო უფლებას იტოვებს, შეიარაღებული ძალები შეიყვანოს და ასე დაიცვას თავისი საკუთრება.**




როგორც კი საქართველოს პარლამენტმა მსჯელობა დაიწყო ამ საკითხზე, ინტერნეტსივრცეში გაჩნდა კომენტარები „გაზპრომიდან“, „ყაზგაზიდან“, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ამ საკითხზე მათ უკვე დაწყებული აქვთ მოლაპარაკება ქართულ მხარესთან. ორივე კომპანია კი პირდაპირ უკავშირდება რუსეთის ხელისუფლებას.

ლაშა თორდია ირწმუნება, კანონპროექტი კი არის ინიცირებული, მაგრამ კონკრეტული საუბარი გაყიდვაზე აბსოლუტურად ნაადრევიაო. არც ტენდერია გამოცხადებული, არც მყიდველი არსებობს, არ არის კონკრეტული ციფრი დასახელებული, რამდენად შეიძლება გაიყიდოს ობიექტი. თანაც მილსადენის რეაბილიტაციისთვის MCS-მა 40 მილიონი დოლარი ჩადო და 5 წლის განმავლობაში საქართველო მას ხელს ვერ ახლებსო.

იმის მტკიცება, რომ რეალური მყიდველი არ არსებობს, კიდევ უფრო მეტ ეჭვს აჩენს. თანაც ბოლო წლების პრაქტიკა აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში აჩვენებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების მტკიცე უარის მიუხედავად, უცებ აღმოჩნდება, რომ მყიდველი არის და ის სწორედ „გაზპრომია“, – ამბობს დავით გამყრელიძე.

პირდაპირ დასმულ კითხვაზე: „გაზპრომის“ ხელში რომ აღმოჩნდეს მაგიტრალური გაზსადენი, იქნება თუ არა ეს საქართველოსთვის საფრთხე, თორდიამ უპასუხა, რომ ეს არანაირ პრობლემას არ შექმნის, რამაც ექსპერტი გია ხუხაშვილი ძალიან აღაშფოთა და შეხვედრაც პროტესტის ნიშნად დატოვა.

**„ჩვენ კი გადავდებთ რუსეთს გვერდზე, მაგრამ ის თუ გადავა გვერდზე? – იკითხა ექსპერტმა ლადო პაპავამ, – მისთვის მთავარი სწორედ ეს მაგისტრალია, ვინაიდან გაზსადენი სომხეთში მისია. მხოლოდ საქართველოში გამავალი მილები აქვს ყელში გაჩხერილი. აშკარაა მისი სურვილი, ერთპიროვნული ენერგეტიკული მმართველი გახდეს. ამიტომ გაზსადენს ეკონომიკაზე მეტად წმინდა პოლიტიკური დატვირთვა აქვს“.**

შეხვედრაზე გაიხსენეს ზენდუქიძის ადრინდელი რჩევა: „გაზპრომს გაზსადენი უნდა მივყიდოთ, რადგან ეს იქნება ბაქო-თბილისი-ერზუმის ალტერნატივა, ანუ იმის შანსი, რომ ვეთამაშოთ ამერიკას“.

ექსპერტთა ნაწილს დიდი ბრიტანეთის მაგალითი გაახსენა ლევან ვეფხვაძის სიტყვებმა, რომ ქრისტიან-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ჩვენ სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაციას მოვახდენთო. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაც სწორედ ასე მოიქცა.

**თუმცა, რაღა შორს უნდა წავიდეთ. ჯერ კიდევ კარგად ახსოვს საზოგადოებას მიხეილ სააკაშვილის მიერ 2002 წელს ნათქვამი სიტყვები: „თუ მილსადენი გაიყიდება, მერე საქართველო გინდ ევროკავშირის წევრი გახდეს, გინდა ნატოში შევიდეს, თუ გინდა მარსზე გაფრინდეს, მაინც არაფერი ეშველება!“**

**რა შეიცვალა ამ რვა წელიწადში?..**

თეა მოსია

ვიზიტის შემდეგ

# მოსკოვში ჩვენ ის სახედრები ვგონივართ, ცხვირწინ თივას რომ ჩამოუკიდებენ...



***იმაზე, თუ რა გავლენა იქონია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის თბილისში ვიზიტმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში ლევან ალექსიძეს.***

**– ბატონო ლევან, ქალბატონ კლინტონის ვიზიტის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა გააკეთა განცხადება, თითქოს მოსკოვი მზადაა თბილისთან ურთიერთობების აღსადგენად და „რუსი და ქართველი ხალხების გადაკიდება არავის არ გამოუვა“. ქართველ ექსპერტთა ნაწილმა ლავროვის განცხადება საქართველსადმი კრემლის ტონის შეცვლად აღიქვა. თქვენ როგორ შეაფასებდით ლავროვის განცხადებას და რას შეიძლება ნიშნავდეს იგი?**

– საერთოდ, მე ვერ გავიგე, რა უხარიათ ქართველ ექსპერტებს! სად დაინახეს ქართველმა ექსპერტებმა, პოლიტოლოგებმა და პოლიტიკოსებმა ლავროვის განცხადებაში ტონის შეცვლა და შერბილება, მე არ ვიცი. საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენა საქართველოსადმი დამოკიდებულების შეცვლას კი არა, თბილისისათვის ფოჩიანი კანფეტების შეთავაზებას ნიშნავს. ლარსის გამშვები პუნქტი სომხეთისათვის გაიხსნა და არა საქართველოსთვის და არც ბურჯანაძის და არც ნოლაიდელის მოსკოვში ვიზიტებს არ უკავშირდება. მოსკოვში ჩვენ ის სახედრები ვგონივართ, ცხვირწინ თივას რომ ჩამოუკიდებენ და თავჩაქინდრულები თივას მისდევენ.

ლავროვის განცხადებას რომ დავუკვირდეთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა იგი საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანლებს გადაწვდა. ამ მიმართულებით მისი შენიშვნა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთისაგან სომხებისა და აზერბაიჯანლებისგან პრობლემების შექმნას უნდა ველოდოთ. მე რუსებთან მოლაპარაკებებში საკმაოდ დიდხანს ვმონაწილეობდი და მათი ნათქვამი არც ერთი სიტყვისა არ მჯერა.

ვიმეორებ, ლავროვის განცხადებაში არავითარი სირბილე არ შეიმჩნევა. პირიქით, ლავროვმა თავისი განცხადებით საქართველოსადმი მოსკოვის მუხანათური გეგმები ღიად გაახმოვანა. სომხებთან და აზერბაიჯანლებთან დაკავშირებით ლავროვის მინიშნება ხიფათის შემცველია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისევე, როგორც აგვისტოს ომის დროს, სომხები და აზერბაიჯანლები საქართველოს გვერდით დაუდგნენ, ახლაც, არც საქართველოში მცხოვრები სომხებისაგან და არც აზერბაიჯანლებისაგან საქართველოს საზიანოდ მოქმედებას არ ველოდები.

**– მოგეხსენებათ, კლინტონის განცხადებაში სიტყვა „ოკუპაციას“ რუსეთის საგარეო უწყება მყისიერად გამოეხმაურა. სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორ შეაფასებდით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ კლინტონს ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენების არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურე არ იმყოფება, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული ბაზები და სამხედროები სოხუმსა და მოსკოვს და ცხინვალსა და მოსკოვს შორის გაფორმებული ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებიან, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებენ „დემოკრატიული გზით არჩეული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები და აქტიურად საქმიანობენ პოლიტიკური პარტიები“?**

– ასეთ მაღალ პოლიტიკურ დონეზე ნათქვამი ტყუილი, მე ჯერ არ მსმენია. ბევრი რამ მინახავს და მსმენია, მაგრამ ასეთი უსინდისო და უტიფარი პოზიცია, ნამდვილად არა. სიტყვა „ოკუპაცია“ კოლონიური სისტემის შექმნას უკავშირდებოდა და იგი რომის სამართლიდანაა ნასესხები. ქვეყნები, რომლებიც ახორციელებდნენ ოკუპაციის პოლიტიკას, ჩაარჭობდნენ დროშას, სადაც შეძლებდნენ და სულ არ აინტერესებდათ, იმ ტერიტორიაზე რა ხალხები და ტომები ცხოვრობდნენ. ასე ვრცელდებოდა ამ დაპყრობილ ტერიტორიებზე ამა თუ იმ ქვეყნების იურისდიქცია, მაგრამ დღეისთვის, თითქმის ყველა კოლონია გათავისუფლებულია და მსოფლიოში 200-მდე სახელმწიფო არსებობს.

იხ. 4 გვ.

## ვიზიტის შემდეგ

# მოსკოვში ჩვენ ის სახედრები ვგონივართ, ცხვირწინ თივას რომ ჩამოუკიდებენ...

(მესამე გვერდიდან)

ოკუპაციის ეს ფორმა დღეისათვის არ არსებობს, მაგრამ არსებობს „სამხედრო ოკუპაცია", რაც ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დროებით დაკავებას და თავის კონტროლს დაქვემდებარებას. ასეთი ოკუპაცია მოხდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გერმანიის შემთხვევაში. გერმანია ოთხ – აშშ-ს, საბჭოთა კავშირის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონებად დაიყო. შემდგომ ეს ზონები გაერთიანდა, მაგრამ მაშინ გერმანიის ტერიტორიის საოკუპაციო ზონებად დაყოფა სამართლიანი იყო. თუ რატომ, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

ოკუპაცია მაშინ არ არის სამართლიანი, როცა ანექსიისა და აგრესიის ტოლფასია. აგრესიის განსაზღვარებაში, აგრესიად ითვლება ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა და ნებისმიერი დროით და სახით მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. ეს კი უკვე რეგულირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ძირითადად, ჟენევის 1949 წლის კონვენციებით და 1977 წლის დამატებითი ოქმებით. ტერიტორია, რომელიც ოკუპირებულია სხვა სახელმწიფოს მიერ, არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარება დამპყრობელი ქვეყნის სუვერენიტეტს და იურისდიქციას. ის რჩება იმ სახელმწიფოს ტერიტორიად, რომლის სუვერენიტეტსა და იურისდიქციაშიც იყო. მოსამართლეები რჩებიან იგივენი, არ შეიძლება წვევამდელების მეორე, ამ შემთხვევაში, ოკუპანტი ქვეყნის ჯარში გაწვევა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე უნდა იყოს დაცული წესრიგი და ადამიანის უფლებები. არ შეიძლება არც ერთი ჰუმანიტარული ტვირთის შეჩერება, ანუ, იმისათვის, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობა ჰაერში არ იყოს გამოკიდებული, პრაქტიკულად ხდება დროებით, გარკვეული ჰუმანიტარული სამართლით წესებისადმი დამორჩილება.

როდესაც საუბარია იმაზე, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის, მე ვკითხულობ – ვინ შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში? იგივე ტალიავინის მოხსენებაში დადასტურებულია და ამ თემაზე ბევრი დაიწერა და უკვე ყველამ იცის, რომ რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და მას ამის გამო ყველა აკრიტიკებს. თბილისში ყოფნისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ქალბატონი კლინტონი ამ სახის შეჭრასა და ოკუპაციაზე საუბრობდა. აშშ-სათვის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობას მოკლებული ერთეულებია, რომელთა დამოუკიდებლობა რუსეთმა სცნო. როგორც ხედავთ, არც აშშ-ს და არც სხვა ცივილიზებულ სამყაროს არ სჯერა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარებას აფხაზები და სამხრეთელი ოსები აკონტროლებენ.

იგივე ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია, რომ მოსკოვის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იყო. ევროსაბჭო და ევროკავშირი ერთხმად აღიარებენ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებია. აგრესიის შედეგად ამა თუ იმ ტერიტორიის დამოუკიდებლად გამოცხადება აგრესიის ერთ-ერთი ფორმა და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. ის ხელშეკრულებები, რომლებიც მოსკოვმა სოხუმთან და ცხინვალთან გააფორმა, საერთაშორისო სამართლით თავიდანვე ბათილია, ვინაიდან არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არ არიან, და ისინი ისეთივე ბანტუსტანია, რომელიც აპარტეიდის პოლიტიკის შედეგად აფრიკაში ჩამოყალიბდა. იმის გამო, რომ მათი დამოუკიდებლობა არავინ აღიარა, ასეთი სახელმწიფო დღეს აღარც არსებობს. რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ბანტუსტანის ტიპის სახელმწიფოები შექმნა და ახლა ქმნის ილუზიას, თითქოს ის არაფერ შუაშია.

გაკვირვებას იწვევს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების ის ნაწილიც, სადაც საუბარია იმაზე, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „დემოკრატიული გზით არჩეული ორგანოები ფუნქციონირებენ". აშკარაა, რომ რუსებს დემოკრატიის თავისებური გაგება აქვთ. რუსებს „ავიწყდებათ," რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდის ფაქტები, რომელიც ახლაც გრძელდება. მოსკოვმა იცის, რომ მარტო აფხაზეთიდან 300 ათას მოქალაქეზე მეტია დევნილი და მათი მონაწილეობის გარეშე დემოკრატიული არჩევნები ვერანაირად ვერ ჩატარდებოდა, მაგრამ თავისი ტყუილის ტირაჟირებას აგრძელებს.

სწორედ ეს არის რუსეთის ფლიდობა. მაგრამ დღეს მსოფლიოში საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფლიდობის შესახებ ყველამ იცის. ამ ომის ერთ-ერთი შედეგი ისიც არის, რომ ყველამ გაიგო – საქართველოს მტერი არის არა აფხაზი და ოსი ხალხი, არამედ რუსეთი. რაც უფრო მეტი დრო გადის, ევროპა და აშშ მეტს იგებენ საქართველოს კონფლიქტის ზონებში შექმნილ ვითარებაზე და ხვდებიან, რომ რუსეთისათვის დათმობა არ შეიძლება. მოსკოვი დათმობას ვერ გებულობს და პარტნიორის თავზე დაჯდომა სჩვევია.

ამერიკამ დაინახა, რომ საქართველოს მიმართ ობამას მერყევმა პოზიციამ საფრთხის წინაშე დააყენა აშშ-სადმი მისი პარტნიორების ნდობა. ისეთი ერთგული მოკავშირის, როგორც საქართველოა, რუსეთთან ერთი ერთზე დატოვება აშშ-ის უდიდესი მორალური დანაშაულია. აშშ-სა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკა აშშ-ს პარტნიორ, საქართველოს მსგავს სახელმწიფოებზე გადის.

**– თქვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის ბევრი ქვეყანა აღიარებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, ეს შეუწყობს თუ არა ხელს რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების უკან გაწვევას?**

– მიკვირს იმ პოლიტიკოსების, ვინც აცხადებს, რომ აწი აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპაციას. დასავლეთ ევროპას ეს კარგა ხანია აღიარებული აქვს. 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა წელიწადში ორჯერ იღებს რეზოლუციას, რომელშიც ნათლად წერია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერაა ოკუპირებული. ევროსაბჭოში 47 ქვეყანა შედის, ევროკავშირში თითქმის ყველა ეს ქვეყანა შედის. ასე რომ, დასავლეთს ამ საკითხში თავისი სათქმელი ნათქვამი აქვს. ის, რომ ტერმინი „ოკუპაცია" კარგა ხანია ხმარებაშია, ამას ისინი ვერ ამჩნევენ, ვისაც ამის დანახვა არ უნდა.

ამას წინათ ნოლაიდელის თანაგუნდელი მამრაძე აცხადებდა, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ უღიარებია. 22 თებერვლის გაზეთ „მთელ კვირაში" მე სპეციალურად დავწერე წერილი, სადაც აგვისტოს ომის შედეგებზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოთხი რეზოლუცია მოვიხმე. ოთხივე ამ რეზოლუციაში, სწორედაც რომ, საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე. კლინტონის განცხადებაში, სადაც მან სიტყვა „ოკუპაცია" იხმარა, ცხადად ჩანს, რომ აშშ რუსეთს აგვისტოს მოვლენებში დამნაშავედ მიიჩნევს. ვაშინგტონი მოსკოვისაგან 12 აგვისტოს შეთანხმების 6-ვე პუნქტის შესრულებას, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანას მოითხოვს. ამერიკა რუსეთს ეუბნება – „ნუ გვაბოლებ", შენ ხარ საქართველოს ტერიტორიაზე, კეთილი ინებე და შეწყვიტე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დროებითი ოკუპაცია. ეს ისევე მოხდება, როგორც თავის დროზე, კერძოდ 1999 წელს სტამბოლში მიღწეული შეთანხმება, რომლის საფუძველზეც რუსეთს საქართველოდან თავისი ბაზების გაყვანა დაეკისრა და შემდგომ პუტინს მოუწია ამ შეთანხმების ნაწილობრივ შესრულება.

ის რომ, საქართველოს ტერიტორიები სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით „ოკუპირებულია", ამის შესახებ ქალბატონ კლინტონის გარდა საუბრობს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომლის შუამავლობითაც მოეწერა ხელი 12 აგვისტოს შეთანხმებას. ახლახან მოლდოვამ გამოაცხადა რუსეთი ოკუპანტად, ასე რომ, როგორც პატივცემული გორბაჩოვი იტყოდა, „პროცესი დაწყებულია", მაგრამ ეს პროცესი კარგა ხანია დაწყებულია.

**– ჟენევის პროცესის თანათავმჯდომარეებთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა კვლავ დააყენა საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის მიღების საკითხი. ცნობილია ოფიციალური თბილისის პოზიცია, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ გაიზიარა, ანუ 12 აგვისტოს შეთანხმება ძალის გამოუყენებლობას შეიცავს და ახალი დოკუმენტის ხელმოწერა საჭირო არ არის. თქვენი აზრით, შექმნილ ვითარებაში, ოპტიმალური გამოსავალი რა შეიძლება იყოს?**

– ქართული მხარე მზადაა, რუსეთთან დადოს შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ სოხუმთან და ცხინვალთან – არა. მიჭირს იმის თქმა, თუ რა იქნებოდა ოპტიმალური გამოსავალი. როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ აფხაზებს და ოსებს, არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ვისი ენით საუბრობენ სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები. ხალხისაგან განსხვავებით, სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებები რუსების მარიონეტები არიან.

თავის დროზე, აფხაზთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აჩბამ, რომელიც შემდეგ მოკლეს, ჩემთან საუბარში თქვა – „ბატონო ლევან, ჩვენ ვიცით, რომ აფხაზები საქართველოსთან თანაცხოვრებისათვის ისტორიულად არიან განწირული. ჩვენ რომ რუსეთის ნაწილი გავხდეთ, იგივე მოგვივა, რაც უბიხებს, შაფსუღებს და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებს. ჩვენი ამოცანაა, თქვენ თავი რაც შეიძლება ძვირად მოგყიდოთ." ზურაბ აჩბას მხედველობაში პოლიტიკური ვაჭრობა ჰქონდა. იგი სწორედ იმის გამო მოკლეს, რომ მას ისეთი პოლიტიკური კრედო ჰქონდა, რომელიც ჩემთან საუბარში გამოთქვა. აფხაზი ხალხი ხვდება, რომ ის, რაც მე-19 საუკუნეში რუსეთმა აფხაზეთში დაიწყო და ახლა აგრძელებს, აფხაზი ხალხის გადაშენებას ემსახურება. თუ რუსეთმა აფხაზეთში იმ რაოდენობის რუსი სამხედროები და მუშახელი ჩაასახლა, როგორც აქვს დაგეგმილი, აფხაზები უბრალოდ გადაშენდებიან და უაფხაზებოდ დარჩენილ აფხაზეთს რუსეთი აითვისებს.

ვიდრე რუსეთი 12 აგვისტოს შეთანხმებით გათვალისწინებულ მუხლებს არ შეასრულებს, არანაირ დამატებით ხელშეკრულებაზე ხელმოწერა საჭირო არ არის. საქმე ახლა ისიცაა, რომ იგივე სარკოზის მომხდართან დაკავშირებით სინდისი აწუხებს. ამიტომ იყო, რომ მან პუტინთან შეხვედრამდე პარიზში პრეზიდენტი სააკაშვილი მიიღო. სარკოზი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ახლა ხვდებიან, რომ დასავლეთმა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიმართ პასიურობა გამოიჩინა, რომ რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ესმის, რა არის კეთილშობილება, რუსეთს მხოლოდ ძალის ხისტი ენა ესმის.

**– ბატონო ლევან, რუსეთში კლინტონის ვიზიტის გარდა დიდი ხმაური მოჰყვა საქართველოში ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე საუბარს, რომელზეც მუშაობა ქართველმა ისტორიკოსებმა უკვე დაიწყეს. რუსეთში არ მალავენ უკმაყოფილებას, რომ ისტორიის ახალ ქართულ სახელმძღვანელოში საუბარი იქნება იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა საქართველო 2000 წელი რუსეთის ოკუპაციის ქვეშ...**

– მე ვაცხადებ: ის, რაც საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე ჩვენთან თბილისში და მოსკოვში ითქვა, ტყუილია. სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფმა მოიგო გრანტი სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომლის სახელწოდებაა – „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XIX-XXI საუკუნეებში. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის".

მე იმ ხალხის მიკვირს, რომელიც ამბობს, რომ ამგვარი სახელმძღვანელოს შექმნით მოსკოვი გაღიზიანდება. რამდენადაც ვიცი, ამ წიგნში საუბარი იქნება იმ ქვეყანაზე, რომელმაც დაგვიპყრო და ჩვენს წინააღმდეგ ყოველდღე აგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნში საუბარი არ იქნება უბრალო რუს ხალხზე, რომელიც ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. საუბარია იმ პოლიტიკაზე, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ატარებდა და დღესაც ახორციელებს.

ისეთი მმართველების ხელში, რომელიც რუს ხალხს მეფის და კომუნისტური მმართველობის დროს ჰყავდა, ყველაზე მეტად დაზარალებული სწორედ რომ რუსი ხალხია. როგორც საბჭოთა კავშირის დროს, რუსი ხალხი ყველაზე ცუდად ცხოვრობდა, ახლაც ისევე ცუდად ცხოვრობს. ვისაც არ სჯერა, თავად დარწმუნდება თუ მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან სულ ახლომდებარე რაიონებს მოინახულებს. მე არ ვიცი, რას მოვესწრები და რას არა, მაგრამ ვამბობ – რუსეთი აგონიაშია და დარწმუნებული ვარ, ეს აგონია რუსეთის პოლიტიკურ სიკვდილში გადაიზრდება.

**კობა ბენდელიანი**

## სასაზღვრო სოფელი

# კარბის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

**სოფელი კარბი ქალაქ გორის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ცხინვალიდან დაახლოებით კილომეტრში. კარბი შედის მერეთის (თემის) საკრებულოში და მასში ომამდე დაახლოებით 750 ადამიანი ცხოვრობდა.**

კავკასიის ქალთა ქსელისა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის ანგარიშით, 2008 წლის 9 აგვისტოდან, კარბის დაბომბვის შედეგად, დაიწყო ხალხის მასობრივი გასვლა სოფლიდან. გარდაცვლილთა დიდი ნაწილის სათანადო წესით დაკრძალვა ახლობლებმა ვერ მოახერხეს დაბომბვებისა და რუსული და ოსური შეიარაღებული პირების თავდასხმების გამო. უმრავლესობამ გარკვეული პერიოდის შემდეგ – დაბრუნებისას შეძლო ახლობლების დაკრძალვა სოფლის სასაფლაოზე. დაბრუნებულ კარბელებს სოფელი დანგრეული და განადგურებული დახვდათ.

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად სოფელ კარბში დაღუპულია 10 ადამიანი – 5 ქალი და 5 მამაკაცი. დაღუპულთა ასაკი 50-დან 75 წლამდე მერყეობს.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ე.წ. საზღვრისპირა მოსახლეობას რომ ყურადღება სჭირდება, ამაზე ადამიანი უფლებათა პრიორიტეტმა მრავალჯერ გაამახვილა ყურადღება. მისი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საზღვრისპირა სოფლებში. გაეცნენ იქაური მოსახლეობის აზრს – რა უჭირთ და ულხინთ, რა სჭირდებათ ყველაზე მეტად.

კარბის მოსახლეობა ითხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ადგილზე ჩასვლას. სოფლის მოსახლეობის თხოვნაა – ჟურნალისტები ადგილზე გაეცნონ, თუ რა პირობებში უწევს აგვისტოს ომის შემდეგ ე.წ. სასაზღვრო სოფლების მოსახლეობას ცხოვრება და რამდენად სამართლიანად ჩატარდა დაზიანებული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

როგორც ცნობილია, ამ სოფელში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, 3 ბომბი ჩამოვარდა. რამდენიმე სახლი დაინგრა მთლიანად, ზოგი – ნაწილობრივ, ზოგი კი – დაზიანდა.

კარბის მოსახლეობა უკმაყოფილოა ადგილობრივი ხელისუფლებით და მას კომპენსაციის არამიზნობრივად განაწილებაში ადანაშაულებს. კერძოდ, რუსეთის საჰაერო ავიაციის მიერ დაბომბილი ერთ-ერთი უბნის ზოგიერთი დაზიანებული სახლის მეპატრონე დაკმაყოფილდა სამშენებლო მასალით, ხოლო ზოგიერთს არაფერი მიუღია.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" დამკვირვებლის კითხვაზე, თუ რატომ ხდება ასე, მოსახლეობის ნაწილს პასუხი არა აქვს, ნაწილი კი, ადგილობრივ ხელისუფლებასთან უთანხმოებაზე საუბრობს და თბილისიდან ჟურნალისტების ჩასვლის იმედადაა, რომ **„იქნებ მედიით გაშუქების შემდეგ მაინც დაინტერესდეს ვინმე მათი პრობლემებით."**

**ნატა ნიბლაძე**

**ვაი მთავრობისგან**

***როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ კერო საწარმო „თბილავიამშენი“ მართლაც მტაცებელი ფრინველივით დაითრია, მისი კანონიერი მფლობელი და მეპატრონე, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი მილიონერი ბიზნესმენი პანტიკო თორდია, ასეთ ქამელეონურ განცხადებას გააკეთებდა? არავითარ შემთხვევაში, მაგრამ დემოკრატიის ისეთ შუქურა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, განა გეგულებათ ადამიანი (თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც კი), რომელსაც კერძო მესაკუთრის ასეთი საქციელი გაუკვირდება? თანაც პირველი შემთხვევა ხომ არ არის, ასეთი კეთილგონივრული ქმედებისა, რომ განცვიფრებისგან პირი ღია დაგრჩეთ. არ გახსოვთ, ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ რიყეში მდებარე რესტორნებისა და ორთაჭალის გოგირდის აბანოების მეპატრონეებმა თავიანთი საკუთრება პირადი სურვილით, ზოგ შემთხვევაში ხვეწნა-მუდარითაც კი, როგორ შეაჩეჩეს ხელში ნაცების ახლად მოვლენილ ხელისუფლებას?***

# როგორ დაითრია ხელისუფლებამ „თბილავიამშენი“

## *დედას გეფიცებით, არ წაურთმევიათ, ჩვენი ნებით იჩუქესო...*





მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ამ პერიოდში მთავრობის ერთიანმა გუნდმა იმდენი იშრომ-იღვაწა, ქვეყნის ეკონომიკა ისე ააყვავა და ჯიბეც იმდენად გაისქელა, რომ პატარ-პატარა საჩუქრების მიღებაზე ხელი აიღო და მსხვილ-მსხვილი კერძო საწარმოების დატაცება-მისაკუთრებაზე გადავიდა. ამის დასტურია დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი „თბილავიამშენი“, რომელიც, როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ამ რამდენიმე დღის წინათ ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ კი არ მიითვისა, თურმე მიიერთა, უბრალოდ ის ამ სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა და ახლა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს იძენს. თანაც თურმე ამ გადაწყვეტილების ინიციატორი თავად „თბილავიამშენია“, რომლის კონტრაქტორიც, უკვე წლებია, გახლავთ თავდაცვის სამინისტრო. იმაშიც გვარწმუნებენ, რომ საწარმოს ბაზაზე იგეგმება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა, რაც სასიკეთოდ წაადგება როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ისე თავად „თბილავიამშენის“ სამომავლო განვითარებას და იქ მომუშავე კოლექტივის კეთილდღეობას.

მაგრამ ერთხელ უკვე პრივატიზებული საწარმოს უკუპრივატიზებაზე, კერძო საკუთრების კვლავ სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევაზე, რა აზრისაა თავად ამ საკუთრების მფლობელი, „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი პანტიკო თორდია (გავრცელებული ინფორმაციით, ის საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელიაძ, არ გაინტერესებთ? როგორც ტელევიზიით მოვისმინე, ის მიესალმება ქარხნის ბაზაზე სამხედრო მრეწველობის კომპლექსის ჩამოყალიბების სახელმწიფო გეგმას: **„ამ კომპლექსის შექმნა სერიოზულად გააუმჯობესებს სიტუაციას ჩვენს კოლექტივში, გარანტირებული ვიქნებით შეკვეთებით და, როგორც ვიცი, ეს პროგრამა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც ითვალისწინებსო“,** — გულს იკეთებს დაკარგული ქონებით შეცბუნებული პანტიკო დირექტორი.

რამდენად გულწრფელია ბიზნესმენი, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს? ამის დასაზუსტებლად (თუკი შეიძლება ასეთი რამის დაზუსტება საქართველოშიძ, ვცადე პირადად გავსაუბრებოდი ბატონ პანტიკოს, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მას ვერც საწარმოში მივაგენი და ვერც ტელეფონით დავუკავშირდი. მკითხველის სანუგეშებლად ისღა დამრჩენია, გავიხსენო „თბილავიამშენის“ თავკაცთან იმ წლების შეხვედრები, როცა ის, დიდი საკუთრების მფლობელი ბიზნესმენი, ინტერვიუებსაც ხალისით იძლეოდა (ისინი სისტემატურად ქვეყნდებოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზეძ და საზღვარგარეთის ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლადაც ვაჟკაცურად იყო შემართული.

მაშინ, კერძოდ, 2004 წელს, საავიაციო ქარხანაში მომუშავე ბიზნესმენთა ერთმა ჯგუფმა (პანტიკო თორდიას თავკაცობითძ სახელმწიფოსგან 67 მილიონ დოლარად გამოისყიდა საწარმოს აქციების 90 პროცენტი, დანარჩენი 10 პროცენტი კი მუშა-მოსამსახურეებზე გადანაწილდა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ქართველ მეწარმეთა ჯგუფმა ამხელა ვალის წამოკიდება და უშველებელი, გიგანტი საწარმოს ინვესტირება გარისკა. თუმცა პანტიკო თორდიას წარმოებას მორგებულმა უნარმა და ენთუზიაზმმა, საავიაციო მრეწველობაში ათეულწლობით მუშაობის მდიდარმა გამოცდილებამ, პარტნიორთა მაღალმა პროფესიონალიზმმა და შემართებამ თავისი ქნა. შედეგმაც არ დააყოვნა, ბიზნესმენთა ჯგუფმა სახელმწიფო ვალიც დადგენილ ვადებში გაისტუმრა და საწარმოს რენტაბელობამაც შესამჩნევად იმატა.

პირველი და არსებითი ნაბიჯი, რამაც საწარმოს წარმატება მოუტანა, იყო საავიაციო წარმოების მოდერნიზაცია და საერთაშორისო მენეჯმენტის დანერგვა. 2005 წლიდან „თბილავიამშენმა“ დაიწყო რეაქტიული თვითმფრინავის „ტამჯეტის“ წარმოება, რომელიც ამერიკული „მავერკის“ ბაზაზე შეიქმნა. ბოლო წლებში მისი პარტნიორები გახდნენ ამერიკის, კანადის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების საავიაციო საწარმოები. საერთაშორისო არენაზე მოპოვებული რეიტინგის წყალობით ქართულმა საწარმომ შეძლო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მალე „თბილავიამშენმა“ კანადურ კომპანია „ფლაიკრაფტთან“ ერთად დაიწყო ერთობლივი პროდუქციის წარმოება. ქართულ ავიამრეწველებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ამერიკულმა „ეარმაც“, რომელიც 6-ადგილიანი სამოქალაქო თვითმფრინავების წარმოებაზეა სპეციალიზებული. ნიშანდობლივია, რომ „თბილავიამშენი“ აწარმოებს ისეთი სახის საკონტროლო და სანავიგაციო სისტემებს, რომლებსაც საზღვრის დაცვის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების, რკინიგზისა და სხვა სამუშაოების დროს იყენებენ.

თავის დროზე „თბილავიამშენმა“ გაითვალისწინა თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები და დაიწყო საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებაც. ახლაც არ დაუკარგავს მომხმარებელი ქარხნის მიერ გამოშვებულ გაზის გამათბობლებს, რომელმაც როგორც უსაფრთხოების, ისე სიიაფის მხრივ, ბევრად დაჯაბნა მეზობელ თურქეთსა და ირანში წარმოებული ანალოგიები. ასევე ითქმის ამ ქარხანაში წარმოებულ ელექტროგენერატორებსა და ჰიდროტურბინებზე.

იქნებ ვინმე აგვიხსნის, ისეთ საწარმოს, როგორიც „თბილავიამშენია“, რომელსაც სამომხმარებლო ბაზარზე არც რეიტინგი აკლდა, არც დამკვეთი და არც რენტაბელობა, რა სჭირდა საიმისო, რომ სახელმწიფოს თავის ფრთებქვეშ შეეფარებინა? არაფერი, უბრალოდ მსუქანი ლუკმა ნახა და ხელიდან არ გაუშვა. **ზემოთაც ვთქვი, ეს კერძო საკუთრების ხელყოფის პირველი შემთხვევა არ გახლავთ, საქართველოს მთავრობა ქორივით დაგეშილია კერძო საკუთრებაზე და წაასწრებს თუ არა მოფრთხიალეს, მაშინვე დაეძგერება და გადასანსლავს. თანაც თუ მოშივდა, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე. „თბილავიამშენს“, მაგალითად, ერთხელ მაშინ გამოსძალა ფული, როცა საკუთარი ქონება შეასყიდა და მეორედ ახლა, როცა იგივე ქონება კერძო მესაკუთრეს უკანვე წაართვა. თუ დასჭირდა, არ დანამუსდება და „ნანადირევს“ ახლა კიდევ სხვას შეასაღებს(!).**

ამას ისე გააკეთებს, თვალს არ დაახამხამებს, თანაც აქეთ დაგვმოძღვრავს, სტრატეგიულ ობიექტებს (მაგალითად, რკინიგზას ან მაგისტრალურ გაზსადენსძ იმიტომ ვყიდი, რომ იქიდან აღებული ფულით ბიუჯეტს შევავსებ, თანაც საიმედო ხელში მოვაქცევ — კერძო პირი ყოველთვის უკეთესად უვლის და პატრონობს ამა თუ იმ ობიექტს, ვიდრე ხელისუფლებაო.

**თუ ასეა, „თბილავიამშენი“ ხომ ასპროცენტიანი კერძო საკუთრება იყო და რატომღა დაეპატრონა? და მეორეც, რადგან ხელისუფლება ფიქრობს, რომ კერძო პირი უკეთესად უვლის ობიექტს, იქნებ თვით ხელისუფლებაც რომელიმე უცხოელი ან ადგილობრივი ინვესტორისთვის მიგვეყიდა? თუმცა მეცა ვთქვი რა, მიყიდულები რომ არ იყვნენ, განა ასე დაანგრევდნენ საკუთარ ქვეყანას?!..**

**ოთარ ხუციშვილი**

**გვეხმაურებიან**

# ამას ქაოსი და განუკითხაობა ჰქვია

**დიდი ინტერესით, მაგრამ გულისტკივილით გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკის“ 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტ რაჟდენ კიკილაშვილთან. გულისტკივილით-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ მის მიერ დაყენებული საკითხები ეხება ყველა ჩვენგანის ინტერესებს, რომლებიც დარგში არსებული ქაოსის გამო ყოველდღიურად ფეხქვეშ ითელება.**

რჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას ეს დარგი საერთოდ არ აინტერესებს და მისთვის იგი მეასეხარისხოვანია. მე პირადად ექვსჯერ მაინც მივწერე წერილი ბატონ ვანო მერაბიშვილს, რათა ლაგოდეხში, როგორც საზღვრისპირა რაიონში, დაენიშნა პატრული, მაგრამ ამაოდ. არადა ჩვენთან სრული ქაოსია, ქუჩაში არ გაისვლება, განსაკუთრებით საღამოს საათებში, როცა მსუბუქი ტაქსებით, ავტობუსებით თუ სხვა სახის ტრანსპორტით ალმადალმა დათარეშობენ. იმათგან უმრავლესობას მართვის უფლებაც არა აქვს.

ლაგოდეხში არის კეთილმოწყობილი ავტოსადგური, რომელსაც აქვს მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, ბარგის შესანახი საკანი, მძღოლთა დასვენების ოთახი. სადგურს ჰყავს ექიმი მძღოლთა წინასარეისო შემოწმებისათვის, აქვს კვების ობიექტი, ჟურნალ-გაზეთების ჯიხური და დედათა და ბავშვთა დასვენების ოთახი.

სადგური კი არის, მაგრამ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას სანახევროდაც ვერ ასრულებს. მართალია მოედანი დახაზულია და საგზაო ნიშნებიც დაყენებულია, მაგრამ მას არავინ ემორჩილება. ამის თაობაზე მივაკითხეთ რაიონის გამგეობას, პოლიციას, მაგრამ უშედეგოდ. მსუბუქი ტაქსებისათვის გამგეობის გადაწყვეტილებით გამოიყო ადგილი, დაიდგა ნიშანი, მაგრამ სადგურის კუთვნილი ტერიტორიიდან მაინც ვერ გაიყვანეს. ისინი მგზავრთა ჩასასხდომ ბაქნებზე იჭრებიან და იტაცებენ მათ. ეგრეთ წოდებული „ხიშნიკი“ ავტობუსის გასვლის წინ რამდენიმე წუთით ადრე გადის ტრასაზე და წინ მიუძღვის. რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლის შემდეგ ხელმოცარული ავტობუსი უკან ბრუნდება და რეისი იშლება. ამის გამო ორგანიზაციაც და სახელმწიფო ბიუჯეტიც უამრავ თანხას კარგავენ. „ხიშნიკი“ მთლიან თანხას იჯიბავს. იგი არსად არ არის რეგისტრირებული და ბიუჯეტში ერთ თეთრსაც არ იხდის. ასე თუ გაგრძელდა, მალე მთელი საქართველო ასეთი მტაცებლებით გაივსება.

არსებული წესის მიხედვით, ტაქსი სრულად ეკიპირებული უნდა იყოს, რეგისტრირებულიც, რათა საგადასახადოს ყოველწლიურად წარუდგინოს დეკლარაცია. თანხას გადაახდევინებს თუ არა, ამაზე მთავრობამ იზრუნოს.

ფაქტობრივად მათ მგზავრები გადაჰყავთ ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე, არ გადიან ტექნიკურ დათვალიერებას, ტრასებზე მგზავრის დატაცების მიზნით აჭარბებენ სიჩქარეს, რაც იწვევს ავარიებს, უამრავი ადამიანი იღუპება.

ტაქსის მძღოლებად ხშირად მუშაობენ პიროვნებები, რომლებიც არიან ნასამართლევები ყაჩაღობაზე, გაუპატიურებაზე. არცთუ იშვიათად ისინი დაავადებული არიან გადამდები სნეულებებით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ისმის კითხვა: თუ სადგურს სჭირდება ლიცენზია, რათა იფუნქციონიროს, ტაქსს რატომ არავინ აკონტროლებს? ვითომ ამ უკანასკნელს არც ლიცენზია სჭირდება, არც რეგისტრაცია და არც ტექნიკური დათვალიერება?!

უკონტროლობა და განუკითხაობა სადამდე მიიყვანს სატრანსპორტო დარგს, კაცმა არ იცის. ვინ უნდა იზრუნოს ამაზე, თუ არა ხელისუფლებამ? თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ უნდა ვთხოვო ბატონ ვანო მერაბიშვილს, ლაგოდეხში, როგორც საზღვრისპირა რაიონში, იყოს პატრული.

**ოთარ კაპანაძე,**
ქ. ლაგოდეხი

◉ დოცხალი — სახელმძღვანელო

# ვინ და რატომ დასცინის ჩვენს სტუდენტობას?!

## ღია წერილი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი მარგველაშვილს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

***ქალბატონებო და ბატონებო, ბატონო რექტორო!***

*როგორც თქვენი ბოლო ინტერვიუდან (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 24. V. 2010) ირკვევა, გულდასმით გაცნობიხართ ჩემს კრიტიკულ შენიშვნებს ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) „ქართულ ფილმოგრაფიაზე“ და მეთანხმებით, რომ ფილმოგრაფიაში, თქვენივე შეფასებითაც, „უამრავი შეცდომაა“, მაგრამ იქვე რომ მიწერია, ასეთივე შეცდომებია თქვენ მიერ გამოცემულ წიგნშიცო („ქართველი კინორეჟისორები“, კრებული II, თბილისი, 2007), ეს რატომ მიაფუჩეჩეთ, რატომ დაუმალეთ მკითხველს?! ამდენად, ახლა სწორედ ამ კონკრეტულ საკითხზე მოგახსენებთ და უნდა გვიპასუხოთ, რა დააშავეს ჩვენმა სტუდენტებმა, რომ ამ უბადრუკი ე. წ. დამხმარე სახელმძღვანელოთი უნდა ისწავლონ კინოს ისტორია? თანაც ხსენებული კრებულიდან განვიხილავ მხოლოდ ერთ „მეცნიერულ“ ნაშრომს („მიხეილ ჭიაურელი“), რომლის ავტორია თქვენი აღიარებული ფავორიტი — ქალბატონი ეთერ ოკუჯავა.*

ასეთი პრეამბულის შემდეგ, ბატონო რექტორო, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, ჩემს „სტატიაში ნუ ელოდებით ესტეტიკურ კრიტიკასა“, რამეთუ თქვენი ფავორიტის ნაშრომში, ისევ ილიას სიტყვები უნდა მოვიშველიო, „მცირედი საზრდოც არ არის ესტეტიკურ კრიტიკისათვის“. მაგრამ, გარწმუნებთ, ეს არც ლანძღვაა, ღმერთო კი მომკალი, — „ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ“, — გვმოძღვრავს დიდი ილია და ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავდივარ: რასაც ვიტყვი, იმით ვამტკიცებ, რომ სათანადო გვერდებს მიგითითებთ, თქვენც აღექით და ჩამოჯექით ერთი მაგ თქვენ ფავორიტთან ერთად და გულდაგულ ჩაიკითხეთ, რასაც გწერთ. ბოლოს და ბოლოს, არცოდნა არცოდვააო, უთქვამს ბრძენს და რა მოხდა ასეთი, ვის არ შეშლია?! ჩაასწორეთ ეს შეცდომები, ბოდიში მოუხადეთ ჩვენს სტუდენტობას ამ უხეირო გამოცემის გამო და უკეთესი გამოეცით.

თავდაპირველად რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა, რაც შეიძლება მოკლე კომენტარით:

**1.** კინოფილმ „ნათელას“ რეჟისორია არა **ნიკოლოზ შენგელაია** (გვ. 71ძ, არამედ — **ამო ბეკ-ნაზაროვი**.

**2.** კინოფილმი „სამი სიცოცხლე“ დადგა არა **ალექსანდრე წუწუნავამ** (გვ. 73ძ, არამედ — **ივანე პერესტიანმა**.

**3. აბრამ როომის** ფილმს ეწოდება არა **„Ухабах“** (გვ. 75ძ, არამედ — „**Ухабы**“.

**4.** გახმაურებული ამერიკული ფილმი „ბენ ჰური“ გადაიღო არა **სესილ დე მილმა** (გვ. 96ძ, არამედ **უილიამ უაილერმა**.

**5.** კინოფილმ „ნათელაში“ საქართველოს სახალხო არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი კი არ ასრულებს სამეგრელოს დედოფლის — ეკატერინე დადიანის როლს (გვ. 108ძ, არამედ არაპროფესიონალი, შესანიშნავი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის **ივანე მაჩაბლის** ქალიშვილი — **ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილისა.**

**6.** კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ თანასცენარისტი მიხეილ ჭიაურელთან ერთად არის არა **აკაკი ბელიაშვილი** (გვ. 111ძ, არამედ ცნობილი რუსი მწერალი **პ. პავლენკო**.

**7.** ამავე ფილმის კინოოპერატორი **დავით კანდელაკი** კი არაა (გვ. 111ძ, არამედ — **ლეონიდ კოსმატოვი**.

**8.** ამავე ფილმის მხატვარი **ლ. მამალაძე** კი არაა (გვ. 111ძ, არამედ — **ვლადიმერ კაპლუნოვსკი** და **ალექსანდრე პარხომენკო**.

**9.** ამავე ფილმის კომპოზიტორი **სულხან ცინცაძე** კი არაა (გვ. 111ძ, რომელიც მაშინ მეორე კურსის სტუდენტი იყო, არამედ სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორი — **დიმიტრი შოსტაკოვიჩი**.

**10.** სცენარისტი ფილმისა „დაუვიწყარი 1919“ მიხეილ ჭიაურელთან ერთად არის არა **აკაკი ბელიაშვილი** (გვ.111ძ, არამედ — **ალექსანდრე ფილიმონოვი** და **ვსევოლოდ ვიშნევსკი**.

**11.** ამავე ფილმის კინოოპერატორი **დავით კანდელაკი** კი არაა (გვ. 111ძ, არამედ — **ლეონიდ კოსმატოვი** და **ვლადიმერ ნიკოლაევი**.

**12.** ამავე ფილმის მხატვარი **ლ. მამალაძე** კი არაა (გვ. 111ძ, არამედ — ისევ **ვლადიმერ კაპლუნოვსკი**.

**13.** ამავე ფილმის კომპოზიტორი **სულხან ცინცაძე** კი არაა (გვ. 111ძ, არამედ — ისევ **დიმიტრი შოსტაკოვიჩი**.

**14.** კინოფილმ „გიორგი სააკაძეზე“ ნათქვამია, მისი მხატვრები არიანო: მ. გოცირიძე, რ. გოცირიძე და ი. შვეცი (გვ. 110ძ. აქედან „რ. გოცირიძე“ ზედმეტია, საერთოდ უცნობია, ვინ არის იგი. ამასთან, სიას აკლია ჩვენი ღვაწლმოსილი მხატვრები: **რევაზ მირზაშვილი** და **კოტე კვალიაშვილი**.

**15.** ისიც საინტერესოა, რომ „გიორგი სააკაძეში“ თურმე საერთოდ არ თამაშობს აკაკი ვასაძე (გვ. 110ძ და, ბუნებრივია, არც შაჰ-აბასი იქნება...

**16.** როცა ჩამოთვლი რომელიმე კინორეჟისორის 4 ფილმს (გვ. 67ძ, ეს „ტრილოგია“ კი არაა, არამედ — „ტეტრალოგია“.

**17.** მ. ჭიაურელის ფილმის „გიორგი სააკაძის“ პრემიერა შედგა არა 1941 წელს (გვ. 67ძ, არამედ — 1942 წლის 7 სექტემბერს.

**18.** კინოფილმ „სამანიშვილის დედინაცვალს“ (მუნჯი პერიოდი იგულისხმებაძ ორი დამდგმელი რეჟისორი ჰყავდა — **კოტე მარჯანიშვილი** და **ზაქრო ბერიშვილი** და არა მხოლოდ კ. მარჯანიშვილი (გვ. 72ძ .

**19.** 1959 წელს მოსკოვში ორი წიგნი კი არ გამოსულა **ი. მანევიჩისა** მიხეილ ჭიაურელზე (გვ. 104ძ, არამედ — ერთი და ისიც გამოაქვეყნა არა გამომცემლობა „ისკუსსტვომ“, არამედ — „გოსკინოიზდატმა“.

**20.** „წარსულის საშინელებანი“ გადაიღო არა **ვიქტორ** (გვ. 71ძ, არამედ **ვლადიმერ ბარსკიმ**.

**21.** თავისი უკანასკნელი ფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ **მიხეილ ჭიაურელს** თითქოს უკომპოზიტოროდ გადაუღია (გვ. 112ძ და, მაშასადამე, ბატონ **რეზო ლაღიძეს** არ დაუწერია ის შესანიშნავი სიმღერები, რომლებიც დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ.

**22.** ამ ფილმთან დაკავშირებით ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თითქოს მისი კინოოპერატორია **დ. მარიგუევი (გვ. 112). უნდა იყოს — დ. მარგიევი.**

**23. 1929 წლისათვის ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა „სახკინოკომიტეტი“ (გვ. 74), იყო „სახკინმრეწვი“, ანუ „სახელმწიფო კინომრეწველობა“.**

**24. ვინ ხელმძღვანელობდა გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კინოს — ბორის შუმიაცკი (გვ. 92) თუ ბ. შუმიატსკი (გვ. 93)?**

**25. კინოფილმ „ხაბარდას“ განხილვისას (გვ. 80) პერელმანს უსაყვედურებია მ. ჭიაურელისათვის, რაბლეს სატირის მისადაგება ჩვენს ინტელიგენციასთან არ შეიძლებაო. ავტორს მოჰყავს პერელმანის ეს სიტყვები (გვ. 80), მაგრამ სქოლიოში (№18) მიუთითებს, ეს არის მარიამ ორახელაშვილის გამოსვლა ზემოხსენებულ დისპუტზეო (გვ. 104).**

**26. (გვ. 85-86) ავტორს მოჰყავს ჭიაურელის ათსტრიქონიანი ციტატა ფორმალიზმზე და წყაროდ მიგვითითებს №37 სქოლიოს, თუ სად, როდის და რომელ დისპუტზე განაცხადა მ. ჭიაურელმა ეს სიტყვები, მაგრამ თუ გულუბრყვილოდ დაუჯერებთ ავტორს და გადაშლით 105-ე გვერდს, იქ წაიკითხავთ:**

**„დავით კაკაბაძე — 1889-1952.**

**ლადო გუდიაშვილი — 1896.“**

დიდება შენდა, ღმერთო! რა არ მინახავს და რა არ წამიკითხავს ამ ხნის კაცს, მაგრამ ამ რებუსის ვერაფერი გავიგე.

**27.** არ არსებობს ფილმი „ჩკალოვი“ (გვ. 98ძ — ამ სახელწოდებით ფილმს ვერც ერთ ფილმოგრაფიულ კატალოგსა თუ კინოენციკლოპედიაში ვერ მოიძიებთ. აუცილებელია მისი სრული სახელწოდება — **„ვალერი ჩკალოვი“**.

**28.** კინოფილმ „ხაბარდაზე“ საუბრისას ავტორი აგდებულად იხსენებს ამ ფილმის მიმღები კომისიის ერთ-ერთ წევრს, მისივე შეფასებით რომ ვთქვათ, „ვინმე პერელმანს“. უხერხული ხომ არ არის, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა არ იცის, რომ სწორედ ეს „ვინმე პერელმანი“ გახლავთ სცენარის ავტორი მ. კალატოზიშვილის ფილმისა „ლურსმანი ჩექმაში“ მაშინ, როცა, სადაც კი ხელი მიუწვდება, სულ მ. კალატოზიშვილზე წერს?!

**29.** მ. ჭიაურელის „ბერლინის დაცემა“ სტატიაში წარმოდგენილია ჩვეულებრივი ფორმატის, ანუ ერთსერიიან ფილმად (გვ. 111ძ. სინამდვილეში იგი ორსერიიანი ფილმია (I-9 ნაწილია, ანუ 2 308 მეტრი, II-8 ნაწილი, ანუ 2274 მეტრიძ, თანაც საერთო მეტრაჟით (4582ძ თითქმის სამსერიიანია, რაღაც მეტრები აკლია.

**30.** გვ. 89. ავტორი წერს, რომ დ. რონდელის ფილმის „დაკარგული სამოთხის“ განხილვისას მ. ჭიაურელს უთქვამს, კალმახიძის პროტოტიპად დ. რონდელს **ლელიკო ხოტივარი ჰყავს წარმოდგენილიო... მე ძალიან კარგად ვიცი, ვინ იყო ბატონი ლელიკო ხოტივარი, მაგრამ ამ კრებულის მკითხველმა-სტუდენტმა რა იცის? ამიტომაც რაღაც ინფორმაცია იყო მასზე საჭირო.**

**31.** გვ. 97-98: „საოცარია, თვით სტალინი თვლის, რომ ქართველებისათვის ფილმი „გიორგი სააკაძეზე“ უფრო მეტს იტყვის, ვიდრე პირადად მასზე გადაღებული „სუვოროვი“ (1941ძ, „ჩკალოვი“ (1941ძ.“ აქ მართლაც ბევრი რამ არის „საოცარი“: 1. თუნდაც ის, რომ როგორ შეიძლებოდა ამ კონტექსტში გიორგი სააკაძის ბრჭყალებში ჩასმა, ანუ ფილმის სახელწოდებად მოხსენიება (ფილმი გიორგი სააკაძეზე სულ სხვაა და ფილმი „გიორგი სააკაძე“ სულ სხვა — რა უბედურებაა ამის აღრევაძ. 2. როდის და სად თქვა ეს სტალინმა (ამას გვიმალავდი?!ძ ? რომც ეთქვა, რა არის აქ საოცარი, რომ კინოფილმი „გიორგი სააკაძე“, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველებისათვის მართლაც უფრო ბევრს იტყვის, ვიდრე რუსულ ცხოვრებაზე გადაღებული ფილმები? 3. რატომაა „სუვოროვი“ პირადად სტალინზე გადაღებული ფილმი? — ვერაფრით გავიგია. საერთოდ, მთელ ამ ციტატაში ვაღიარებ, „რაღაც ღრმა აზრი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი სუსტი გონება ვერ მიწვდება“ (ი. ჭავჭავაძეძ.

**32.** ღვთის წყალობით, №37 სქოლიოს შემდეგ მოდის №38 სქოლიო, რომელსაც ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება თურმე იმის დადგენა, თუ რამდენი წლით არის უფროსი დ. კაკაბაძე 26 წლის მ. ჭიაურელზე, ლადო გუდიაშვილი კი — უმცროსი, მაგრამ ამ ინფორმაციის მისაღებად ერთი „უბრალო“ რამ არის საჭირო (ღმერთო, რა დავაშავეთ ასეთი?!ძ — ჩვენი ძვირფასი ავტორის სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა, რაც მთავარია, მთელი ტექსტის წაკითხვა, რადგან რომელიმე კონკრეტული გვერდი არაა მითითებული. სად ეძიოს ახლა სტუდენტმა თქვენი ფავორიტის დისერტაცია (ისე, უკეთესს რას ნახავს, ხომ წარმოგიდგენიათ?!ძ , 20 წლის წინათ რომ დაუწერია, თანაც ხელნაწერის უფლებითაო, რომ გვზაფრავს, ის მაინც მიეთითებინა, სად, რომელ ცხრაკლიტულში ინახება თანამედროვე ქართული მეცნიერების ეს „უძვირფასესი განძი“?

**33.** მაგრამ „საუკუნის აღმოჩენა“ მაინც 109-ე გვერდზეა, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ლეგენდარული მხატვარი **ლადო გუდიაშვილი** გამოცხადებულია... კინოოპერატორად! ბრავო!

გავაგრძელო, ბ-ნო რექტორო? კი, ბატონო, უსაშველოდ შეიძლება ასეთი „მარგალიტების“ ამოყრა, მაგრამ მკითხველმა რა დააშავა? ცოდოა. ამიტომაც, მოდი, სხვა კუთხით შევხედოთ თქვენი ფავორიტის ამ ნაცოდვილარს — ეგებ ე. წ. ფაქტობრივ მასალაშია ასე უსუსური, მაგრამ თავად კვლევა-ძიება-დასკვნები აქვს მართლაც მეცნიერული?

აი, როგორ იხილავს **(გვ. 91)** ერთი სხდომის ოქმს ქ-ნი ეთ. ოკუჯავა: **ეს სხდომა 1934 წელს გაიმართა და „არსენას“ განხილვას ეძღვნებოდაო.** რა იგულისხმება „არსენაში“ — ფილმი? იგი ჯერ არაა დადგმული. სცენარი? არც იგია ჯერ დაწერილი. არადა, საარქივო დოკუმენტში ნათლადაა ჩამოყალიბებული სხდომის დღის წესრიგის ერთადერთი საკითხი — იმ ლიბრეტოს განხილვა, რომელიც თავისი გახმაურებული რომანის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით წარმოუდგენია **მიხეილ ჯავახიშვილს**. მაგრამ ეს ოქმში წერია და არა თქვენი ფავორიტის „მეცნიერულ ნაშრომში“, რომელშიც მ. ჯავახიშვილი „არსენას“ სცენარის ავტორად არის მოხსენიებული. ეს არაა სწორი — „არსენას“ სცენარის ავტორია **სანდრო შანშიაშვილი,** მ. ჯავახიშვილი კი, როგორც მივუთითე, მხოლოდ ლიბრეტოს ავტორია. ამ განსხვავებას უნდა განმარტება?

სხდომას **მიხეილ კალატოზიშვილი** უძღვებოდაო, მაშინ, როცა „ჯიმ შვანთეს“ ავტორი საერთოდ არ ესწრებოდა სხდომას და ამას თქვენივე ფავორიტი გვიდასტურებს, როცა პერსონალურად ჩამოთვლის შვიდივე მონაწილეს ამ სხდომისას (მიქაძე, არსენიშვილი, ბენაშვილი, ლოსოვა, ალხაზიშვილი, მ. ჭიაურელი და მ. ჯავახიშვილიძ. ე. ი. თუ არ ესწრებოდა მ. კალატოზიშვილი (იგი ამ დროს ლენინგრადში სწავლობდაძ სხდომას, როგორ, ლენინგრადიდან სელექტორით ხომ არ უხელმძღვანელებდა? ამასთან, რაც მთავარია, ოქმის თავშიც და ბოლოშიც, როგორც თავად ფორმატი ითვალისწინებს, ჯერ მითითებულია, ვინ არის თავმჯდომარე და მდივანი, მერე კი ეს კაცი, ანუ თავმჯდომარე ბოლოში ხელსაც კი აწერს ოქმს (იგულისხმება ცნობილი ლიტერატორი, ბ-ნი **ვარლამ მიქაძე,** რომელიც იმხანად ჩვენი კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგე იყოძ და მეტი რაღაა საჭირო, რომ თქვენმა ფავორიტმა ამ სხდომის თავმჯდომარედ ბ-ნი ვ. მიქაძე აღიაროს?!

მაგრამ ამით როდი მთავრდება ქ-ნ ეთ. ოკუჯავას „მეცნიერული კვლევა“ და ნახეთ, რა „ანალიზს“ გვთავაზობს: სხდომის ერთ-ერთ მონაწილეს (ლოსოვასძ ასეთი აზრი გამოუთქვამს: „მე წინააღმდეგი ვარ სცენის, სადაც არსენა ეხმარება ხანძრის დროს ფეოდალის ოჯახს. არსენას მოტაცება ქრისტიანული სახით შეუწყნარებელია (?! — ე. ო.ძ, ვინაიდან მას უნდა ახასიათებდეს დაუნდობელი ზიზღი კლასობრივი მტრისადმი“.

თქვენი ფავორიტის რემარკა (?! — ე. ო.ძ იმას ნიშნავს, რომ თავადაც უკვირს, ეს რა სისულელეს ამბობს ამხ. ლოსოვაო, მაგრამ ავიწყდება, რომ ეს სისულელე სწორედ მისი ბრალია — ამხ. ლოსოვას ტექსტში, კარგად რომ ჩაეხედა ოქმში, საერთოდ არაა სიტყვა „მოტაცება“...

სტატიის ავტორი თვით მ. ჭიაურელის გამოსვლასაც აყალბებს: „ჭიაურელი აცხადებს — მისი ფილმი ეპოპეა **იქნება (**ხაზი ჩემია — **გ. დ.**ძ, სადაც თავის ადგილზე **იქნება** (ხაზი ისევ ჩემია, რადგან ბატონი მიხეილ ჭიაურელი, ჩემი უფროსი მეგობარი, ასე პრიმიტიულად არ ლაპარაკობდა, მის მოსმენას არაფერი ჯობდა — **გ. დ.**ძ ქართველი ხალხის და რაინდის სახე და რუსი ხალხის ხატიც“.

ახლა ვნახოთ, სინამდვილეში რა განაცხადა რეჟისორმა — ამონაწერი ოქმიდან: მ. ჭიაურელი: **„მე ვფიქრობდი, რომ ეს სურათი დამედგა სრულიად რეალისტურად, შემდეგ ვფიქრობდი მის დადგმას ლეგენდური ელფერით, მაგრამ ეს ორივე ხაზი უარვყავი და ეხლა გადაწყვეტილი მაქვს მისი დადგმა საშუალო ხაზის მიხედვით ეპოპეის სახით. სწორედ ამ განხრით არის დაწერილი ეს ლიბრეტო“.**

როგორც ვხედავთ, ერთადერთი სიტყვის („ეპოპეა“ძ გარდა, ციტირებულ ტექ-

## დომხალი — სახელმძღვანელო

სტებს არაფერი აქვთ საერთო. სად არის მ. ჭიაურელის სიტყვაში: **„თავის ადგილზე იქნებაო“, „ქართველი ხალხის და რაინდის სახეო“, „რუსი ხალხის ხატიცო“...**

კიდევ ერთი მომენტი: თქვენი ფავორიტი, როგორც ყოველთვის, ამ სტატიაშიც თავს იწონებს ე. წ. სამეცნიერო აპარატით, აქაოდა, ნახეთ, რა მეცნიერულ სიღრმეს ვაძლევ ნაშრომსო. სამეცნიერო აპარატი 4-გვერდიანია, სულ 157 სტრიქონს შეიცავს და ძალიან ლაკონიურად თუ ვიტყვით, უწიგნურობის ნამდვილი განსახიერებაა. თავად განსაჯეთ:

**1.** სამეცნიერო აპარატში (გვ. 103-106) 10-ჯერ არის მითითებული — „საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების ცენტრალური არქივი“, რაც თავისი შესაბამისი ატრიბუტებით ორ-ორ სტრიქონს იკავებს, ანუ 20 სტრიქონს. ეს კი არის მთელი ამ 157-სტრიქონიანი სამეცნიერო აპარატის 13 %. ასეთი სახელწოდების არქივი ჩვენში არც არასდროს ყოფილა და არც დღეს არსებობს.

**2.** რაც შეეხება ისეთ საარქივო ატრიბუტიკას, როგორიცაა ფონდი, აღწერა, თუ საქმე, ყოველივე ეს იმდენად ქაოსურ მდგომარეობაშია, რომ ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს.

**3.** გვ. 105-106. ამ ორ გვერდზე ხუთჯერ არის მითითებული სქოლიოში ქ-ნ **თინა კოპლატაძის** პუბლიკაცია *„ფრაგმენტები დაუვიწყარი წერილიდან“*, სინამდვილეში ამ პუბლიკაციის სათაურია „ფრაგმენტები დაუწერელი წიგნიდან“ (იხ. ალმანახი „კინო“, 1988, №1-2).

**4.** ელემენტარული წესია — როცა მეორე სქოლიოც იგივეა, რაც პირველი, მაშინ პირველი იწერება სრულად, მეორე კი ერთი სიტყვით — „იქვე“.. თუ გვერდებშია განსხვავება, მაშინ „იქვეს“ მიეწერება მხოლოდ გვერდი. 105-ე გვერდზე კი ავტორს ზედიზედ მოტანილი აქვს ორი სქოლიო და ორივე სრული ტექსტით (№38 და №39), რამაც ზედიზედ წაილო 8 სტრიქონი, ანუ 3 სტრიქონი ზედმეტია.

**5.** გვ. 106. სქოლიო №56 გვამცნობს, რომ ა. ბაზენის სტატია **„სტალინის მითი საბჭოთა კინოში“** ქართულად გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1989, №10, გვ. 21—31).. სწორედ ეს გვერდებია (21-31) მითითებული მომდევნო ორ სქოლიოშიც (№57 და №58), მაშინ, როცა აქ უნდა ყოფილიყო ხსენებული სტატიის მხოლოდ კონკრეტული გვერდები და არა სტატიის საერთო მოცულობა. კერძოდ, №57 სქოლიოში უნდა ყოფილიყო გვ. 21, №58 სქოლიოში კი — გვ. 26.

**6.** გვ. 104. როცა რომელიმე ციტატის დასამოწმებლად კონკრეტულ წიგნს ან კრებულს ასახელებ, აუცილებლად უნდა მიუთითო გვერდიც.

**7.** ორჯერაა მოტანილი №14 სქოლიო.

**8.** ასევე ორჯერაა №15 სქოლიოც, რამაც არია მთელი ეს მონაკვეთი.

**9.** გვ. 75. მეორე აბზაცი ეხება ვს. პუდოვკინის გამოსვლას, კინოფილმ *„საბას“* განხილვაზე 1929 წელს რომ ჩატარდა, წყაროდ კი მითითებულია №16 სქოლიო, სადაც (იგულისხმება ი. მანევიჩის წიგნის 68-ე გვერდი) საუბარია 8 წლის შემდეგ გამოსულ კინოფილმ... „არსენაზე“.

**10.** გამქრალია №64 სქოლიო, რომელიც უნდა ყოფილიყო სადღაც 99 და 100 გვერდებს შუა.

**11.** გვ. 100. №65 სქოლიოს შემდეგ მოდის სქოლიო №68, თანაც ერთობ განსხვავებული შრიფტით (საერთოდ, არც ავტორსა და არც რედაქტორსა წარმოდგენაც არ აქვთ შრიფტზე.).. შემდეგ მოდის სქოლიო №66, №67 და ისევ №68.

**12.** გვ. 75. ავტორი გვარწმუნებს, *„საბამ“* „გაახმაურა“ მ. ჭიაურელის სახელიო და ამის შესახებ მისი მკვლევარი ი. მანევიჩიც წერდაო მოგვიანებით.. მეტი დამაჯერებლობისათვის იქვე მითითებულია წყაროც, მაგრამ როცა ჩაიხედავ ი. მანევიჩის წიგნის მითითებულ გვერდზე (68), აღმოჩნდება, რომ აქაც კინოფილმ ***„არსენაზეა“*** საუბარი.

**13.** ავტორი ხშირად მიუთითებს პირად არქივზე, რაზედაც ყველა მკითხველს, ცხადია, ხელი არ მიუწვდება. ერთ-ერთია 1932 წლის 7 თებერვლით დათარიღებული დისპუტის ოქმი, რომელზედაც ზედიზედ მიუთითებენ სქოლიოები №22, 23, 24, 25 და ოთხივე შემთხვევაში ამ ოქმის ერთი და იგივე 38-50 გვერდებია ნახსენები, რითაც იქმნება სრული ქაოსი. ეს ქაოსი მით უფრო თვალშისაცემია, როცა 1932 წლის დისპუტის ოქმის ხსენების შემდეგ, ავტორი ასრულებს თხრობას და წერს, ა მ ი ტ ო მ ა ც ო (გვ. 76) მ. ჭიაურელი ერთგვარი მეტრის ამბიციით გამოდის 1929 წლის 2 ნოემბერს მწერალთა წინაშე (ანუ დროში უკან გადავყავართ) და მათ კადრის კულტურაზე ესაუბრებაო. ამ კონკრეტული საუბრის წყაროდ კი ისევ 1932 წლის ოქმს მიუთითებს და ასე დაუსრულებლად.

**14.** გვ. 104. ავტორი კი გვაფრთხილებს, ზემოთ ხსენებული ოქმი ჩემს პირად არქივში ინახებაო, მაგრამ №18 სქოლიოთი მითითებული ოქმი სულაც არაა საჭირო, რადგან 1928 წლის პარტიული დადგენილება კინოზე ი. მანევიჩის მონოგრაფიაშიც არის (გვ. 23) და ავტორსაც აქედან აქვს აღებული, მაგრამ ცუდად გაგებული და თარგმნილი, რასაც ადასტურებს მომდევნო შენიშვნა.

**15.** გვ. 76. ავტორი წერს: „ი. მანევიჩის აზრით, „საბა“ წარმოადგენდა ცნობილი პარტიული დადგენილების გამოხმაურების შედეგს. რომელიც მოუწოდებდა ხელოვანთ „მეურნეობის ახალი სოციალისტური ელემენტების, საზოგადოებრივი ურთიერთობის, ყოფის, პიროვნების ახსნისაკენ“.

სინამდვილეში, აი, რას წერს ი. მანევიჩი:

**„Партийное совещание по вопросам кино, созванное в марте 1928 года, призывало к созданию Фильмов, показывающих „новые социалистические элементы в хозяйстве, общественных отношениях, быту и личности человека“.**

ანუ: „1928 წლის მარტში გამართული პარტიული თათბირი კინოს საკითხებზე მოითხოვდა ისეთი ფილმების შექმნას, რომლებშიც აისახებოდა „ახალი სოციალისტური ელემენტები მეურნეობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ადამიანის ყოფასა და პიროვნებაში“.

ახლა ვიკითხოთ:



**ა.** სად წერს ი. მანევიჩი, რომ „საბა“ცნობილი პარტიული დადგენილების გამოხმაურების შედეგს წარმოადგენსო?

**ბ.** და საერთოდ, რა „ახსნაზეა“ საუბარი, მით უმეტეს, სად წერია „პიროვნების ახსნა“ თუ „ყოფის ახსნა“, დადგენილების ტექსტში ხომ ნათლადაა ჩამოყალიბებული, რას ითხოვდა პარტია — რომ ისეთი ფილმები შეექმნათ, რომლებშიც ნაჩვენები იქნებოდა, გნებავთ, აისახებოდა, რა „ახალი სოციალისტური ელემენტები გაჩნდა მეურნეობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ადამიანის ყოფასა და პიროვნებაში“.

**გ.** როგორც ვხედავთ, ავტორმა ვერ გაიგო ი. მანევიჩის ტექსტი და მისთვის ჩვეული უპასუხისმგებლობით თარგმნა.

**16.** გვ. 76. კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ ვერ წვდება ავტორი ი. მანევიჩის ტექსტს და არსებითად სულ სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევს მას: „ხელოვანთა მიერ პარტიულ მოწოდებებზე გამოხმაურებასთან დაკავშირებით, ი. მანევიჩი ვლ. მაიაკოვსკის ლექსსაც იხსენებს (**„Душа общества“**), სადაც პოეტმა ერთგვარი რომანტიკულობით გამოთქვა ალკოჰოლისადმი გატაცება“ — თავისთავად რა ქართულია „ალკოჰოლისადმი გატაცება?“ და თანაც ვნახოთ თვით ი. მანევიჩის ტექსტი:

**„Наиболее яростную борьбу с мещанским бытом, алкоголизмом вел Маяковский, страстно и гневно обличая пошлость, хулиганство, высмеивая людей, пытающихся опоэтизировать вино. Маяковский посвятил этой теме стихи, „Душа общества“ и многие другие“.**

როგორც ვხედავთ, ი. მანევიჩი პ ი რ ი ქ ი თ წერს, რომ ვლ. მაიაკოვსკიმ გააფთრებული ბრძოლა გამოუცხადა მეშჩანურ ყოფასა და ალკოჰოლიზმს, რომ იგი დასცინოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც გააპოეტურეს ღვინო და ა.შ.

**17.** გვ. 76. ბარემ ერთი მაგალითიც — ავტორი წერს, ი. მანევიჩი „აღნიშნავს, რომ განსხვავებით მაიაკოვსკისაგან, ჭიაურელი სწორად მოიქცა, როცა აქტიურად შეიჭრა ცხოვრებაში და აგიტაციური სიმკვეთრით, მაგრამ მხატვრული განცდით დააყენა ეს საკითხი“.

ავტორისაგან არაფერი გამიკვირდება, რაც უნდა ის ჩაყაროს თავის ტომარაში, სანამ ასეთი რედაქტორი ეგულება, მაგრამ ი. მანევიჩს თავი დაანებოს, მას ნუ მიაწერს იმას, რასაც თავად ლაპარაკობს.

აი, რას წერს ი. მანევიჩი:

**„Чиаурели, стремившегося активно вторгаться в жизнь и создавать фильмы прямого агитационного действия, привлекает актуальная тема сценария „Саба“.**

ახლა გეკითხებით, სად არის დედანში ვითომ ი. მანევიჩის ფრაზები:

**ა.** მაიაკოვსკისაგან განსხვავებითო?

**ბ.** ჭიაურელი სწორად მოიქცაო?

**გ.** ჭიაურელი აქტიურად შეიჭრა ცხოვრებაშიო? — ი. მანევიჩი მხოლოდ იმას წერს, ჭიაურელი ცდილობდა ამასო და ეს სრულიად სხვა რამ არის.

**დ.** ასევე სად წერია აგიტაციური სიმკვეთრით, მაგრამ მხატვრული განცდით დააყენა ეს საკითხიო?

**ე.** ბოლოს ი. მანევიჩი მხოლოდ იმას ამბობს კატეგორიული ტონით, რომ მ. ჭიაურელი მოიხიბლა „საბას“ სცენარის აქტუალური თემითო.

**18.** გვ. 76. კინოფილმ „საბაზე“ საუბრისას ავტორი იმასაც წერს, რომ ამ „აქტიურობის პირადმა განცდამ შეცვალა ფილმის ჟანრიც“ და თურმე ი. მანევიჩიც წერდა, რომ ეს მართლაც კლასობრივი ბრძოლის თემააო. ი. მანევიჩის ეს სიტყვები რომ ვიწამოთ, ავტორი №19 სქოლიოთი მიგვანიშნებს ი. მანევიჩის წიგნის 57-ე გვერდზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ გვატყუებს — ამ გვერდზე ისევ „არსენაზეა“ საუბარი.

**19.** გვ. 100. სქოლიო №66 არასწორად მიგვანიშნებს წყაროს — ალმანახ „კინოს“ 1988 წლის №1 36-ე გვერდზე არ არის ეს ციტატა.

**20.** გვ. 99. ავტორი საუბრობს „ოთარაანთ ქვრივზე“ და წერს: „ფილმის შესახებ იგი (მ. ჭიაურელი — გ.დ.) ერთ-ერთ განხილვაზე ამბობს (სტილი დაცულია): ე.ო.“ და ამის შემდეგ იწყება ციტატა.

როგორც ვხედავთ, ავტორს და რედაქტორს წარმოდგენა არ აქვთ ციტირების წესზე:

**ა.** როცა ციტატა მოგყავს, რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სტილი დაცულია? ციტატა ხომ თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ადგილი ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვითაა გადმოღებული.

**ბ.** როგორც ჩანს, არც ავტორმა და არც რედაქტორმა არ იცის რემარკის გაკეთება. ასეთი რემარკა უშუალოდ ციტატაში ისმება ხოლმე და იქვე უნდა მიეთითოს, რომ ეს სწორედ შენი რემარკაა და ამიტომაც უნდა მიაწერო საკუთარი ინიციალები.

**გ.** რაც შეეხება ფრჩხილების შემდეგ დასმულ ორ წერტილსა და შემდეგ ინიციალებს — ეს უკვე ან სრული უვიცობაა, ან, ქუთაისური ჟარგონით რომ ვთქვათ, გლახაობა და მეტი არაფერი.

**21.** გვ.72. მოტანილია მ. ჭიაურელის სიტყვები, რომელთა წყარო №12 სქოლიოს მიხედვით უნდა იყოს ალმანახი „კინო“, 1988, №1, გვ. 40, მაგრამ აქაც გვატყუებს ავტორი.

**22.** ერთიც და ა მ ჯ ე რ ა დ მეტს აღარ შეგაწყენთ თავს მსგავსი ამონაწერებით:

**მიხეილ ჭიაურელის ფილმი „არსენა“ (მთავარ როლში განუმეორებელი სპარტაკ ბაღაშვილი) ერთ-ერთი ნამდვილი სასწაულია იმ ფილმთა შორის, რაც კი ოდესმე შეუქმნია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფს. თუკი როგორმე შევძლებთ სახალხო გმირებზე გადაღებული მხატვრული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, ჩვენი „არსენა“ უსათუოდ გვირგვინს დაადგამს ამ მსოფლიო კინოფორუმს.**

**ყოველივე აქედან გამომდინარე, როგორც ქართველი კაცი, მით უმეტეს, ჩვენი ეროვნული კინოს ისტორიკოსი, პიროვნულად ვარ შეძრული იმით, თუ სტუდენტებისათვის განკუთვნილ დამხმარე სახელმძღვანელოში როგორ ი წ ყ ე ბ ა საუბარი (გვ. 90) ამ ფილმ-შედევრზე:**

**„მიხეილ ჭიაურელის შემდეგი ფილმი „არსენა“, ჩრდილოელი „დიდი ძმების მოფერების ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია...“**

**თავდაპირველად, რაკი სიტყვა „დიდის“ წინ ბრჭყალები იხსნება, მეგონა, ეს ვიღაც არაკეთილმოსურნის ციტატა იყო და ჩვენი ავტორი ტყავს გააძრობს-მეთქი, მაგრამ ამ ვითომ ციტატის დასამთავრებელი ბრჭყალების გამოჩენას რომ არ დაადგა საშველი, მივხვდი, ეს მისი და კრებულის რედაქტორის ჩვეულებრივი დაუდევრობაა პუნქტუაციის მიმართ. საოცარია, ნუთუ ყველაფრის უფლება უნდა მისცეს ავტორმა თავის თავს, რაკი იმთავითვე დარწმუნებულია, რომ მის ნაცოდვილარს არც რედაქტორი წაიკითხავს და არც — მკითხველი?!**

**ასე მეორდება ეს ავტორისეული პასაჟი (სრულიად შეგნებულად ავირჩიე ეს ფრიად ნეიტრალური სიტყვა) მისი „მონოგრაფიების“ სხვადასხვა გამოცემებში წლიდან წლამდე და, რაოდენ დასანანია, რომ ერთი მეგობარი, კოლეგა, რედაქტორი ან მკითხველიც არ აღმოაჩნდა, ვინც ურჩევდა, მედროვეთა ფეხის ხმას არ აჰყოლოდა...**

**ავტორის კადნიერ პრეამბულას შესაფერისი გაგრძელება აქვს, მაგრამ ესეც მთლიანად უნდა შეგახსენოთ, რადგან ჩემი სიტყვებით რომ გადმოგცეთ, არ დამიჯერებთ, თუ რა შეფასებას აძლევს იგი „არსენას“ ერთ-ერთ ეპიზოდს და როგორ აზოგადებს მას:**

> **„კინომაყურებელთა ერთი ნაწილი, ალბათ, სიამაყესაც კი განიცდიდა, როცა მისი ეროვნული გმირი „არსენა“ — ახოვანი სპარტაკ ბაღაშვილის განსახიერებით, ჩატეხილი ხიდის გასამრთლებლად გამწესებულ ჩია ტანის მიტროხინს შეენაცვლება და ზურგით (? — გ. დ.) შეუდგება ხიდს, რომელზეც ჯარი გაივლის. სიამაყე არსენას ზეადამიანური ძალის, მისი რაინდული სულის გამო ჩნდება. ესეც ჩვენი თვისებაა — რაინდობა, მაგრამ, სოციალისტური რეალიზმის სქემის წყალობით, არსენაში, და კიდევ სხვა მრავალ ფილმში, იგი გაშარჟებულ სახედ იქცევა, უფრო დევკაცის სიბრიყვეს დაემსგავსა ... და ასე ხდება მიტროხინი არსენასაგან მუდმივი მოფერებისა და ზრუნვის საგანი“.**

**რა ჩატეხილ ხიდზე და მის გასამრთელებლად გამწესებულ მიტროხინზეა საუბარი, რა, იგი ხელოსანი იყო, რომ ხიდი შეეკეთებინა?! ბოგირზე, ხის პატარა ხიდზე, მართლაც ჯარი კი არ გადის, რამდენიმე რუს ჯარისკაცს ზარბაზანი გადააქვს და რომ არ ჩანგრეულიყო, ზოგი მათგანი ბოგირს შეუდგა.**

**ამ გასაჭირში რომ დაინახა არსენამ ერთი ჩია ტანის ჯარისკაცი, შეეცოდა და თავად შეუდგა ბოგირს, მაგრამ ზურგით კი არა, როგორც სტატიის ავტორი ხედავს (მაშინ უნდა წაკუზულიყო), არამედ ბეჭით.**

**ვერაფრით ამიხსნია, რა არის ამაში გაშარჟებული, რატომ დაემსგავსა არსენას საქციელი დევკაცის სიბრიყვეს და რა ლექსიკაა ეს, როცა ამ გენიალურ ფილმზე და მისი მთავარი როლის შემსრულებელ უბადლო სპარტაკ ბაღაშვილზე ვსაუბრობთ?! მთელი უბედურება ისაა, რომ ის საცოდავი მიტროხინი რუსი ჯარისკაცია (ვითომ ქართველი ან ესპანელი რომ დაენახა არსენას ამ დღეში, არ დაეხმარებოდა?), ავტორის „მახვილი თვალი“ სწორედ აქეთკენაა მიმართული და უნიჭო მედროვის პოზაც ამას ჰქვია.**

იხ. 9 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კლინტონის სიტყვები საქართველოს მხარდაჭერაზე „გადატვირთვისთვის" დაბრკოლება არ არის

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებამ საქართველოში ვიზიტის დროს 5 ივლისს „საქართველოს ტერიტორიის რუსული ოკუპაციის შესახებ" დიდი რეაქცია გამოიწვია როგორც თავად თბილისში, ისე მოსკოვში**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კმაყოფილი იყო, რომ მოისმინა სიტყვები თავისი ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ ამერიკის ადმინისტრაციის ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენლისგან. მოსკოვმა კი უმაღლეს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში განმარტა, რომ „სახელმწიფო მდივნის კლინტონის განცხადებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია", ვინაიდან რუსი სამხედროები იმყოფებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ესე იგი, ტერიტორიაზე, რომელსაც მოსკოვი საქართველოსად არ მიიჩნევს.



გასაგებია მოსკოვის გაღიზიანება – „ოკუპაცია" ყველაზე სასიამოვნო ტერმინი როდია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. რუსეთის შემთხვევაში კი ორმაგად უსიამოვნოა, ვინაიდან მას წარმოთქვამს თეთრი სახლის წარმომადგენელი, იმ დაწესებულებისა, რომელიც საკუთარი ხელით აწვებოდა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა „გადატვირთვის" ღილაკს.

ეს ყოველივე, რასაკვირველია, არ არის სასიამოვნო, მაგრამ ხანმოკლე პერსპექტივაში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაზე სახელმწიფო მდივნის სიტყვები საქართველოსთან დაკავშირებით არ აისახება. ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი ადმინისტრაცია იმდენად ჩაეფლო ურთიერთობებში რუსეთთან, რომ პრაქტიკულად თავისი სფეროდან გამორიცხა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისადმი თავისი ინტერესები. პრეზიდენტ მედვედევის ვაშინგტონში ვიზიტის დროს პრეზიდენტი ობამა წამდაუწუმ გაიძახოდა რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის" შესახებ – რაც მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საგარეოპოლიტიკური მიღწევაა.

მართლაც, თეთრი სახლის ახალ ურთიერთობას მოსკოვთან არაფერი არ უნდა ამუქებდეს, არც რუსეთის მიერ საქართველოში 2008 წელს არაპროპორციული ძალების გამოყენება, არც ირანისთვის ს-300 კომპლექსის მიყიდვა, არც ამას წინათ გაჩაღებული საჯაშუშო სკანდალი.

უფრო მეტიც, მშვიდობის ნობელის პრემიის მიღების შემდეგ პრეზიდენტი ობამა მზად არის, მიილოს რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საუკეთესო რეკომენდაციებით და მოახდინოს მოსკოვთან შეტევითი შეიარაღებული ძალების შემცირების ახალი ხელშეკრულების რატიფიკაცია, თანაც თვალი დახუჭოს რესპუბლიკური პარტიის უკმაყოფილებაზე, რომელიც დიდად არ არის აღფრთოვანებული რუსეთის მიმართ დათმობების ოდენობის გამო ობამას ადმინისტრაციის მხრიდან.

თუმცა, რესპუბლიკელებს ჯერჯერობით არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი ადმინისტრაცია თავისი კურსის ერთგულია.

„აზრთა სხვადასხვაობის არსებობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მოსკოვს შორის და ჩვენი გზავნილებიც არის ზუსტი და არაორაზროვანი", – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა.

მაგრამ ამასთან ერთად ამერიკის ელჩმა აღნიშნა, რომ, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ვაშინგტონმა და მოსკოვმა უნდა გააგრძელონ დიალოგი სიტუაციის გადასაჭრელად საქართველოში.

ეს დიალოგი კი, წარმატებით თუ წარუმატებლად, უკვე ორი წელია მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს რუსეთის მეგობრულ კრიტიკას და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მიაჩნია საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებად, მოსკოვი კი ამას არ ეთანხმება და მათ ცალკე რესპუბლიკებად მიიჩნევს. სხვადასხვა პოზიციები საქართველოსთან დაკავშირებით ხელს არ უშლის მხარეებს ითანამშრომლონ სხვადასხვა სფეროებში, დაწყებული ბირთვული იარაღიდან და დამთავრებული სანქციებით ირანის წინააღმდეგ, რისთვისაც ობამა უსაზღვროდ კმაყოფილია კრემლისა.

მოსკოვი კი, თავის მხრივ, კმაყოფილია იმისთვის, რომ ვაშინგტონი ცივად ეკიდება ნატოში საქართველოს მიღების იდეას.

ამერიკის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ მხარი დაუჭირა გადატვირთვის კურსს და ამ კურსიდან არ გადაუხვევია დღემდე. თეთრი სახლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსეთის მოქმედებანი საქართველოში ხელს არ უშლის კონგრესის „123-ე შეთანხმებას". გამოდის რომ, სიტუაცია რჩება ძველებურად, მაგრამ დაბრკოლებად აღარ არის ამერიკის შეერთებული შტატებისთვის რუსეთთან დამოკიდებულებაში.

რაც შეეხება კლინტონის განცხადებებს საქართველოში, ეს მხოლოდ პატივისცემის გამოხატვა იყო პრეზიდენტ სააკაშვილისადმი. ცხადია, რომ ვაშინგტონი არ არის მზად, წარმოადგინოს ზუსტი გეგმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შესახებ, იფარგლება მხოლოდ განცხადებებით საქართველოდან ამ რეგიონების გამოყოფის ფაქტის დაუშვებლობის შესახებ.

თუმცა, პრეზიდენტ ობამას პრეზიდენტობის ვადის ნახევარი უკვე გასულია და რას უქადის საქართველოს შემდეგი არჩევნები, ჯერჯერობით უცნობია. შეიძლება საქართველოს ვაშინგტონის ინტერესების ორბიტაში დაბრუნება მოხდეს 2013 წელს, როდესაც რუსეთში ხელისუფლების სათავეში იქნება ახალი პრეზიდენტი. და როგორი იქნება მაშინ სიტუაცია „გადატვირთვასთან" დაკავშირებით, დიდი შეკითხვაა.

TREND

# რუსეთი-საქართველო: უნდა ველოდოთ დათბობას?

**თბილისში რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის განცხადების შემდეგ დაიწყეს საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დიდხანს სალოდინე დათბობის შესაძლებლობის შესახებ**

ტელეკომპანია „მირისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლავროვმა თქვა, რომ რუსეთი მზად არის, განაახლოს საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და თბილისს შორის, აგრეთვე წავიდეს კიდევ „ბევრ სხვა რამეზე" „ხელოვნურად შეწყვეტილი კავშირების" აღდგენისთვის, საქართველოს მხარის დაინტერესების შემთხვევაში.

ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი არ განასახიერებს ქართველ ხალხს, არამედ არის ანომალია". მაგრამ კრემლის წინანდელი განცხადების ფონზე ლავროვის განცხადებები თბილისში შეაფასეს მინიმუმ, როგორც რუსეთის პოლიტიკური ელიტის რიტორიკის ცვალებადობა საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

ქართველი პოლიტიკოსები, აგრეთვე ექსპერტების ნაწილი მიიჩნევენ, რომ რუსეთი იძულებული გახდა, დაიკავოს უფრო რბილი პოზიცია საქართველოსთან დაკავშირებით დასავლეთის ზემოქმედების გამო.

მოსკოვის რიტორიკა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამამ და ჰილარი კლინტონმა გამოიყენეს ტერმინი „ოკუპაცია", როდესაც აფასებდნენ რუსეთის მოქმედებას საქართველოსთან დამოკიდებულებაში, მიიჩნევს ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი ვასილ ჭყოიძე.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 7 ივლისს გაავრცელა განცხადება, რომ ტერმინის „ოკუპაცია" გამოყენება სახელმწიფო მდივნის მიერ ზედაპირულია, ვინაიდან რუსეთის სამხედრო კონტინგენტები იმყოფებიან ტერიტორიებზე, რომლებიც გამოყოფილი არიან საქართველოდან, თავად საქართველოში კი „არ არის არც ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურე".

თბილისშიც საუბრობენ მოსკოვთან დიალოგის შესახებ, მაგრამ არ აპირებენ რაიმე დათმობაზე წასვლას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან და რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, საუბრობენ საქართველოს მთავრობაში.

ადრე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის, წინასწარი პირობების გარეშე აწარმოოს დიალოგი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, რაშიც, მისი სიტყვებით, იგულისხმება ლტოლვილთა დაბრუნება უღიარებელ რესპუბლიკებში, „საქართველოს დეოკუპაცია", აგრეთვე ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვა ორმხრივი ურთიერთობანი.

აგრესიული რიტორიკის შეცვლა უფრო თავშეკავებული განცხადებებით, როგორც მოსკოვში, ისე თბილისში, ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, არ გამოიწვევს რეალურ კომპრომისებს.

ექსპერტი უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ელიტების განცხადებანი გაკეთებულია უფრო მეტად საერთაშორისო გაერთიანებისთვის, რომელიც მოუწოდებს საქართველოსაც და რუსეთსაც, დაიწყონ დიალოგი ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის.

რუსეთს არ სურს საქართველოსთან დიალოგი, ვინაიდან დღეს იგი პრიორიტეტულ მდგომარეობაშია და მას არ აქვს სურვილი, შეცვალოს რაიმე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის კვლევის ცენტრის დირექტორის ბაკურ კვაშილავას აზრით, ურთიერთობათა ნორმალიზაციით ამჟამად დაინტერესებულია ორივე მხარე.

პირველ რიგში, მიაჩნია კვაშილავას, ეს არის რუსეთი, რომელსაც ხელს აძლევს სტატუს-კვო, და იგი შეეცდება აჩვენოს მსოფლიო გაერთიანებას, რომ თითქოს არ არის ფუნდამენტური პრობლემები.

მაგრამ დიალოგზე, კვაშილავას აზრით, წავა თბილისიც, რომელსაც ესმის, რომ ერთადერთი გზა იქითკენ, რომ მოსახლეობამ იგრძნოს თავი უფრო უსაფრთხოდ – ეს არის დაძაბულობის შემცირება რუსეთთან ურთიერთობაში.

„საფრთხე რუსეთის მხრიდან არსებობს, საქართველოს დაცვის გარანტიები კი რუსეთის მხრიდან სამხედრო შემოჭრის შემთხვევაში საქართველოს დასავლელი პარტნიორებისგან არ მიუღია, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც. ასე რომ, საქართველოს თვითდაცვა დღეს სამხედრო გზით შეუძლებელია, – ამბობს ბაკურ კვაშილავა. – ამის შესაბამისად საქართველოს დღეს ხელს აძლევს ნებისმიერი დეესკალაცია რუსეთთან ურთიერთობაში".

**ნინა ახმეტელი**

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთში შეიმუშავეს „კრემის ჯავშანჟილეტი" – სითხე აჩერებს ტყვიას**

სპეციალური შესავსების საფუძვლად იყენებენ თხევად ნარევს, რომელიც მაგრდება მასში ტყვიის მოხვედრის დროს და ამცირებს მის კინეტიკურ ენერგიას. ახალი დამუშავება საშუალებას მოგვცემს, შევცვალოთ უხეში და მძიმე ჯავშანჟილეტები უფრო მსუბუქი და მოძრაობის შეუზღუდავით.

* * *



**აშშ-ში დააპატიმრეს რუსეთისთვის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი – 23 წლის რუსეთელი პიროვნება**

რუსეთელის სახელი ამოტივტივდა რუს მზვერავთა საქმიანობის ქსელის გამოკვლევის დროს, რაც მიმდინარეობს 2000 წლიდან. მასზე თვალყურის დევნება დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2009 წლის ოქტომბერში. ახალგაზრდა კაცის წინააღმდეგ ვერ შეაგროვეს საკმარისი ალიბი, მაგრამ ის პატიმრობაში დარჩა.

* * *

**ჩინეთის სამხრეთში ზვავმა 50-ზე მეტი კაცი დამარხა**

აღმოაჩინეს სამი ცხედარი, დანარჩენი ხალხის ბედი უცნობია. ივნისის ბოლოს ზვავმა გუანჯოუს პროვინციაში ასამდე კაცი დამარხა. სამაშველო ოპერაცია გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში, მაგრამ ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე კაცი აღმოაჩინეს.




* * *

**ფიდელ კასტრო უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად გამოჩნდა ტელევიზიაში და იწინასწარმეტყველა ბირთვული ომი**

ოთხი წლის განმავლობაში კუბის კომპარტიის პირველი მდივნის პირველი შეხვედრის თემა ცნობილ კუბელ ჟურნალისტებთან და მეცნიერებთან ტელეეთერში იყო ირანთან დაკავშირებული სიტუაცია და ურთიერთობათა დაძაბვა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეას შორის. კუბის რევოლუციის ლიდერი საუბრობდა ნელა, მაგრამ მტკიცედ, მხოლოდ ზოგჯერ ჩაიხედავდა ხოლმე ჩანაწერებში.



სიახლე



კულტურის ცენტრი — „თბილისი არტ ჰოლი“

# „თბილისი არტ ჰოლი“ დედაქალაქის შენაძენია

**თბილისის მერიის მხარდაჭერით საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის (პრეზიდენტი — ბადრი წილოსანი) დიდი გარჯითა და ძალისხმევით ჩვენს დედაქალაქს გლდანი-ნაძალადევის რაიონში კიდევ ერთი თანამედროვე, შესანიშნავი კულტურის კერა „თბილისი არტ ჰოლი“ შეემატა, რომელიც ცოტნე დადიანის ქ. №26-ში მდებარეობს და უკვე შემოქმედებით ცხოვრებას შეუდგა.**

ამ დღეებში თბილისის მერმა გიგი უგულავამ საზეიმოდ გახსნა „თბილისი არტ ჰოლი“ და მას დედაქალაქისთვის დიდი შენაძენი უწოდა.

სრულიად ახალი ტიპის „თბილისი არტ ჰოლის“ მიზანია, ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს ქართული ხელოვნების დარგებს, თავისი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

კულტურის ცენტრის კომპლექსში განთავსებულია 500-ადგილიანი თეატრის, კინოს, ქორწინების, სამხატვრო გამოფენის, სასპორტო-გამაჯანსაღებელი და სხვა დანიშნულების დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია ყველა სათანადო, საჭირო ინფრასტრუქტურით.

სექტემბრიდან ცენტრში ამოქმედდება ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის, საესტრადო სიმღერების, ქართულ ხალხურ საკრავთა, მხატვრული კითხვის, მეტყველების კულტურის, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების, ასევე ხმის ჩამწერი სტუდიები და სხვა.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, კულტურის ცენტრში ამოქმედდება უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი სექციები, საცეკვაო კოსტიუმებისა და აქსესუარების სახელოსნოები, ტურისტული სააგენტო და ა.შ.

„თბილისი არტ ჰოლში“ მოთხოვნილებისამებრ გაიმართება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მოეწყობა საიუბილეო საღამოები, იგეგმება მოსწავლე ახალგაზრდობის საერთაშორისო დათვალიერება-ფესტივალების ჩატარება, უცხოეთში გაცვლითი ახალგაზრდული ფესტივალები.

კულტურის ცენტრი მოემსახურება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სადღესასწაულო და სხვა დანიშნულების ღონისძიებების გამართვაში.

გამოფენის დარბაზები მზადაა მოემსახუროს ჩვენს მხატვრებს ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაში, აგრეთვე მოდელიორ-დიზაინერებს მოდების ჩვენებაში.

აქ ფუნქციონირებს რესტორანი, რომელიც მზად არის, მიიღოს წინასწარი შეკვეთები მეგობრული შეხვედრებისა და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ღონისძიებების გასამართავად.

კულტურის ცენტრი განთავსებულია კეთილმოწყობილ პარკში, რომელიც 8 ათას კვ. მეტრს მოიცავს. აქ ყველა თაობის ადამიანს შეუძლია კარგად დაისვენოს და გაერთოს.

**ლალი ქინქლაძე.**



კულტურის ცენტრის გახსნა

დომხალი — სახელმძღვანელო

# ვინ და რატომ დასცინის ჩვენს სტუდენტობას?!

(მეშვიდე გვერდიდან)

**ვინმეს რომ არ ეგონოს, რომ ეს ნაშრომი გამონაკლისია თქვენი ფავორიტის „მეცნიერულ“ მოღვაწეობაში, ძალიან მოკლედ შეგახსენებთ, თუ სხვა პუბლიკაციებშიც როგორ ჩვეულებრივ სტილში დაქარაფშუტობს იგი და, როგორც თანამედროვე ჟარგონით იტყვიან, „აბოლებს“ მკითხველს:**

**1.** „მონანიებას“, ისევე როგორც არც ერთ ქართულ ფილმს, სამწუხაროდ, არ აუღია კანის უპრესტიჟულესი საერთაშორისო კინოფესტივალის „გრან-პრი“.

**2.** ქართული კინოს ისტორია არ იცნობს **ეგნატე ნინოშვილის** ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმს, რომლის პრობლემა ე. წ. ცოლქმრული ღალატია.

**3.** არც ვინმე **ერისთავის მიხედვით გადაუღიათ ჩვენში ამავე თემაზე ფილმი.**

**4. თენგიზ აბულაძეს დამოუკიდებლად არ შეუქმნია დოკუმენტური ფილმები: „ჩვენი სასახლე“ და „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ — ორივე შემთხვევაში მისი** თანაავტორი **იყო** რეზო ჩხეიძე.

**5. არც ელდარ შენგელაიას გადაუღია დამოუკიდებლად „თეთრი ქარავანი“ — მისი თანარეჟისორი იყო ბატონი თამაზ მელიავა.**

**6.** აკაკი ხორავა **არ თამაშობს მიხეილ ჭიაურელის ფილმში „ხაბარდა“.**

**7. „დაკარგული სამოთხის“ სცენარის ავტორია არა მხოლოდ გიორგი მდივანი, არამედ ფილმის დამდგმელი რეჟისორი დავით რონდელიც.**

**8. ერთსა და იმავე ნაშრომში მ. კალატოზიშვილის შედევრის „ჯიმ შვანთეს“ გადაღების თარიღად გამოცხადებულია ხან 1929, ხან 1930 და ხან 1931 წელი.**

**9. მაგრამ ეს რაა იმასთან შედარებით, რომ თურმე „ჯიმ შვანთეს“ რეჟისორი მარტო მიხეილ კალატოზიშვილი კი არ ყოფილა, როგორც აქამდე გვეგონა, არამედ შ. გეგელაშვილიც!**

**10. თურმე კ. პიპინაშვილს „აკაკის აკვანი“ მაშინ გადაუღია (1974 წ.), როცა 5 წლის... გარდაცვლილი იყო.**

**11. დავით რონდელს კი „დაკარგული სამოთხე“ შეუქმნია მაშინ (1988 წელს), როცა 12 წლის... გარდაცვლილი იყო.**

**12. რაც შეეხება მიხეილ ჭიაურელს, „ხაბარდა“ გადაუღია იმ დროს, როცა არც თავად იყო დაბადებული და არც კინო არსებობდა საერთოდ — 1831 წელს.**

ისევ რიტორიკული შეკითხვა — **გავაგრძელო ამ სისულელეების ამოწერა, ბატონო რექტორო?**

გავაგრძელებ, მაგრამ ახალი „რაკურსით“ — თქვენს ფავორიტს იმითაც უყვარს თავის გამოჩენა, რომ თავის „მეცნიერულ“ ნაშრომებს ინგლისური რეზიუმეებით ამკობს. ეს უკვე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რადგან მან ინგლისურენოვან სამყაროს თენგიზ აბულაძე წარუდგინა, როგორც... პროდიუსერი, მისი ფილმი „სხვისი შვილები“ კი — როგორც „უცხოელის შვილები“, ხოლო მიხეილ კალატოზიშვილის „მიფრინავენ წეროები“, როგორც „მიფრინავენ ყარყატები“...

კარგით რა, სადამდე უნდა იყარყატოს ამ ჩიტირეკიამ ასე უტიფრად საგამომცემლო სივრცეში მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი ფავორიტია?! ამიტომაც, როგორც ქართული კინოს ისტორიკოსი, კატეგორიულად მოვითხოვ, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ, სადაც უხვად გყავთ კინემატოგრაფისტები, განიხილოს წინამდებარე სტატიაში მოყვანილი ფაქტები (თუ ვინიცობაა გეცოტავებათ, რაც საგაზეთო სტატიის შეზღუდული ფორმატის გამო ამოვყარე, უმალ მოგაწვდით პირველი მოთხოვნისთანავე!) და გამოაქვეყნოს ოფიციალური პასუხი, რამდენად შეეფერება ყოველივე ეს სინამდვილეს. სათანადო დასკვნები კი შემდეგში გამოვიტანოთ — ჩვენი სტუდენტობა იმსახურებს ისეთ აგდებულ დამოკიდებულებას, რომ თქვენი ფავორიტისთანა ს რ უ ლ ი უწიგნური და გონებაგაფანტული ადამიანი უნივერსიტეტში მოღვაწეობდეს, თანაც ყველგან გყავდეთ წამოკუნკულებული?! (ი. ჭავჭავაძის ტერმინია! — როგორც თავის თავს უკეთებს რეკლამას, იგი არის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქართული კინოაკადემიის (ასეთი აკადემიაც გვქონია?!) დამფუძნებელი, კულტურული ინიციატივების ფონდის (ასეთი ფონდიც!) „ნატოს“ პრეზიდენტი, ჟურნალ „სინემას“ მთავარი რედაქტორი და კიდევ ვინ იცის, რა მოეპრიანება, რას დაირქმევს, რა, ვინმე დაუშლის რაიმეს თქვენს ფავორიტს?! ნუთუ მართლა არ იცით, ილიასი არ იყოს, „რა წითელი კოჭი ბრძანდება“ ეგ თქვენი ფავორიტი სინამდვილეში? წერა-კითხვა არ იცის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, განცხადებას ვერ დაგიწერს, სხვამ თუ არ ჩაუსწორა. ხომ დარწმუნდით, რომ ქართული ტექსტის გადმოწერაც კი არ შეუძლია, რუსულს და ინგლისურს ვინღა დაეძებს. უფრო მეტსაც გეტყვით, წიგნის ყდიდან სათაურს ვერ გადმოწერს უშეცდომოდ... აი, ერთხელაც და საბოლოოდ, როგორც სტუდენტობისას სადიპლომო ნაშრომი ჩავუსწორე („სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ...“!), ამ თავის ცნობილ მიმართვასაც გავუსწორე, რაკი, გახდა თუ არა მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სხვის დაუხმარებლად ასეთი „დალაგებული“ მიმართვა დაუგზავნა თავის თანამშრომლებს:


კოლეგებო

წარმოდგენილი სამუშაო უმეტესწილად არასრული სახისაა. ამდენად გთხოვთ:
სასწრაფოდ — რუსული (თუ ვერ ნახავთ ინტერნეტით ევროპული კინოს ენციკლოპედიას) ენციკლოპედიის შესაბამისი ფორმით ბიოგრაფიული მონაცემი უნდა იწყებოდეს — გვარი, სახელი, თარიღი, პროფესია. ამ წესით ჩაასწორეთ პერსონალიების მასალა და წარმოადგინოთ სრული სახით ის, რაც გაქვთ.

მხოლოდ გვარი-სახელი არ მიიღება. ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა გააგრძელოთ მუშაობა. სამწუხაროდ ყოველი თქვენგანის ნამუშევარში არის ამგვარი თეთრი ლაქები.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შემდეგ სექტორზე არ წარმადგინეთ 2 წლის სრული ნამუშევარი, ეჭვის ქვეშ დგება თქვენი გასული წლების ანაზღაურება.

ამიტომ, სასწრაფოდ, მიეცით თქვენს ნამუშევარს დასრულებული სახე და შემდეგ სექტორზე, 14 ნოემბერს წარმოადგინეთ ის, რაც ხელთ გაქვთ, თქვენი არით დასრულებული სამუშაო.

ეთერ ოკუჯავა
10/8/2009

აი, ასეთი „განსწავლულია“ თქვენი ფავორიტი, ბატონო რექტორო და მასავით ორიოდე ბედოვლათი პედაგოგიც რომ გყავთ კინოფაკულტეტზე, ამიტომაც ჩაფლავდა ქართული კინოსკოლა სტუდენტური ფილმების წლევანდელ საერთაშორისო კინოფესტივალზე — ერთი პრიზიც კი ვერ დაიმსახურეთ, ერთი კინკილა პრიზი! შესანიშნავმა კინორეჟისორმა მიხეილ კობახიძემ ამ კინოფესტივალის შეფასებისას მოკლედ გამოთქვა ტელევიზიით თავისი გულისტკივილი, სტუდენტებს განათლება აკლიათო. განათლება კი ვინ უნდა მისცეს სტუდენტებს, თუ არა პედაგოგმა, მაგრამ, ცხადია, არა ისეთმა, როგორიც თქვენი ფავორიტია და ეს თქვენ, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა შეიგნოთ.

**კი, მაგრამ, კრებულს რომ დავუბრუნდეთ ისევ, ერთი რედაქტორი რა გაგიჭირდათ, თქვე კარგი-დედმამიშვილებოო, იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება. თუმცა, ჯერ ეს ერთი, რა რედაქტორი უშველის ადამიანს, რომელსაც სკოლაში ილია ჭავჭავაძე და ეგნატე ნინოშვილი არ უსწავლია, ისიც კი არ იცის, „კაცია — ადამიანი?!“ როგორ იწერება, ხან ერთ ფორმას ხმარობს („კაცია ადამიანი“), ხან — მეორეს („კაცია, ადამიანი?!“). იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვაჟა-ფშაველა“ ჩვენი გენიალური პოეტის ნამდვილი სახელი და გვარი ჰგონია. ამასთან, რაც მთავარია, რედაქტორიც ისეთი დაუნიშნეთ (ასევე თქვენი ფავორიტი, ქალბატონი ირინა კუჭუხიძე, ემერეტუსობა რომ მიანიჭეთ დიდის ამბით), რომ კინოს ისტორიაში და, საერთოდ, ტექსტის რედაქტირებაში ეთ. ოკუჯავაზე მეტი პროფანია. ასე რომ, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო, სწორედ ამათზეა ნათქვამი. ჯერ კიდევ შარშან მთელი „არზა“ ამოგიწერეთ თქვენი უწიგნურობისა და დღემდე ვერ მპასუხობთ, ე. ი. გრძელდება, არა, პროფანების დოლი ჩვენს უნივერსიტეტში?!**

როდემდე?

**გოგი დოლიძე.**

8.VII.2010

*P. S. „აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის?“ — ილია ჭავჭავაძე.*

*გ. დ.*

რაგბი

# ტიმ ლეინის ჯერიც დადგა



**საქართველოს რაგბის კავშირმა თანამდებობიდან ბორჯღალოსანთა ფიზმომზადების მწვრთნელი ჯონი ნამუ და შერკინების დამრიგებელი დამიენ კამინსი გაათავისუფლა.** ჯერი ეროვნული ნაკრების მთავარ მესაჭე ტიმ ლეინზე მიდგა. მართალია, რაგბის კავშირი ჯერჯერობით ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ავსტრალიელი ნაკრებს აღარ გაწვრთნის. სავარაუდოდ, კვანძი დღეს გაიხსნება: სპორტის სამინისტრო და რაგბის კავშირი „ბორჯღალოსანთა“ ხელმძღვანელობის ცვლილებებთან დაკავშირებულ ცვლილებებს გვაცნობებენ.

**ვაჟა ნოსირელი**

ჭადრაკი

# ფოთი ნანას თასს მასპინძლობს




**ზღვისპირა ქალაქ ფოთში მეხუთედ იმართება სახელოვანი დიდოსტატის, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და საჭადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის გამარჯვებულის ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის საპრიზო ფონდია 26 000 ლარი. შეჯიბრებაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ერაყის წარმომადგენლები მონაწილეობენ როგორც უფროსებში, ისე მოზარდებში.**

მთავარ ტურნირში ორი დღის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით 12 მოჭადრაკე დაწინაურდა. მათ შორის არიან ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, გაიოზ ნიგალიძე, შოთა აზალაძე, ჰუსეინ ალ-ალი, ღასან ალი (ორივე – ერაყიძ.

ყმაწვილმა მოჭადრაკეებმა სამი ტურის პარტიები მოილიეს. მათ შორის უდანაკარგოდ დაწინაურდნენ: **8-წლიანებში** – ანასტასია სიდამონიძე, მაია ბეჟვაია, თიკა ცაგურია; ალექსანდრე გორგაძე, ანტონ ნადირაძე, ედგარ ვარდანიანი (სომხეთიძ და დავით კამკია; **10-წლიანებში** – გვანცა მარგველაშვილი და ლევან ბაბუხადია; **12-წლიანებში** – ნინო ხომერიკი, გიორგი სიბაშვილი და ნიკა ღვამბერია; **14-წლიანებში** – ანა შამათავა, ირაკლი ბერაძე და ალექსანდრე ებრალიძე.

ფესტივალის გამარჯვებულებს შვეიცარიული სისტემით 9 ტური გამოავლენს.

**ვაჟა კოლხი**

ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი დაძლია



**ქართველი ჩოგბურთელები ევროპაში სხვადასხვა ტურნირზე მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობენ. მათ შორის გახლავთ ანა ტატიშვილი, რომელიც ამჯერად პრაღის ღია პირველობაში (საპრიზო ფონდი 220 000 დოლარიძ ჩაება.** პირველ წრეში მან მსოფლიოს რეიტინგში მე-60 ადგილზე მყოფ სლოვაკს – მაგდალენა რიბარიკოვას (თავად ანას 368 ქულით 156-ე საფეხური უკავიაძ აჯობა – 0:6, 7:5, 7:5. მართალია, სლოვაკმა ჩვენებურს 8 ეისი ჩაუგდო, მაგრამ საერთო წარმატებისთვის ეს არ ეყო. ტატიშვილი მერვედფინალში გავიდა, რითაც 30 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა.

სუმო

# „შავი ზღვა“ ისევ აზვირთდა




**ნაგოიაში სტარტი აიღო სუმოისტთა დიდმა ტურნირმა – ივლისის ბაშომ, რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობს. შეჯიბრება კარგად დაიწყო კოკაიმ („შავი ზღვა“, იგივე ლევან ცაგურიაძ, რომელმაც ჯერ თანამემამულე და დებიუტანტი თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუძ დაამარცხა, მეორე წრეში კი მონგოლ ტამავაშის აჯობა.**

კომუსუბის ტიტულით ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო 22 წლის ლევან გორგოძემ (ტოჩინოშინიძ, ამჯერად მონგოლ ჰარუმაფუჯისთან. გაგამარუმ მეორე წრის ორთაბრძოლა ტოსაიუტაკასთან დათმო.

ჭიდაობა

# ჰორიზონტზეა ბაქო



**მადრიდმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (84 კგძ და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებული რამაზ ნოზაძე (96ძ მონაწილეობდნენ. ორივე სპორტსმენი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით კარგა ხანია, ტურნირებზე არ გამოსულა, ამიტომ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად ქართველ ფალავნებს საშეჯიბრო გამოცდილება სჭირდებოდათ.**

ნოზაძემ ასპარეზობის სტარტზევე ახალგაზრდებში რუმინელ ევროპის ჩემპიონ რობერტ ალექსანდრ პაპთან წააგო. სამაგიეროდ, მანუჩარმა გვასახელა. მართალია, იგი მისთვის უჩვეულო წონაში გამოდიოდა, მაგრამ მეტოქეებს წარმატების იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა: ჯერ იტალიელი ტომაზო ზენერე დაამარცხა, მერე ფინელი პეკა რაინტამაკი ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი შვედ კრისტოფერ ლიურიგბაკს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

მომავალ უქმეებზე ბაქოში „ოქროს დიდი პრიზი“ გათამაშდება. საქართველოს სპორტული დელეგაცია შეჯიბრებაზე საკმაოდ ხალხმრავლად იქნება წარმოდგენილი. „თავისუფალში“ იჭიდავებენ.: ბესარიონ გოჩაშვილი, ლაშა ლომთაძე, ამირან ელზაქიძე (სამივე – 55 კგძ, მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გიორგი ბალიაშვილი (60ძ, შალვა მუზიაშვილი, პაატა ნოზაძე, გოგა ხუჭუა (66ძ, გელა სალირაშვილი, ოთარ ურატაძე, მარადი ზოიძე (74ძ, დავით მარსაგიშვილი, არჩილ ქიტიაშვილი, თორნიკე სვანიძე (84ძ, გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი, დაჩი ქერაშვილი (96ძ, ლევან ბერიანიძე, დავით მოძმანაშვილი და კობა კერესელიძე (120ძ. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: ლაშა გოგიტაძე, ზურაბ კეკელიძე, მინდია წულუკიძე (55ძ, რევაზ ლაშხი, ირაკლი ჭოჭუა (60ძ, ანტონ მამაგეიშვილი, მუხრან მაჭუტაძე, მანუჩარ ცხადაია (66ძ, გიორგი ცირეკიძე, გენადი გოგიშვილი, მანუჩარ კვირკველია (74ძ, ვლადიმერ გეგეშიძე, აკაკი ჯოხაძე (84ძ, რამაზ ნოზაძე, იოსებ ჯაბიძე, სერგო ნინუა (96ძ, ოთარ ბოლქვაძე, გურამ ფერსელიძე და სერგო გოგისვანიძე (120ძ.

**გიორგი გაგუა**

ინტერნეტიდან

# ხულიგანი ტრიბუნალს გადასცეს




**გულშემატკივარი, რომელიც ცდილობდა ფინალური მატჩის წინ მსოფლიოს ოქროს თასისკენ გავარდნას, სამხრეთ აფრიკაში სპეციალურ ტრიბუნალს გადაეცა.**

ვინც ფინალური მატჩის ტელეტრანსლაციას უყურებდა, შეამჩნევდა, რომ ოქროს თასი მინდვრის განაპირას დადგეს. ხულიგანი გულშემატკივარი ცდილობდა, თასისთვის წითელი ქუდი დაეხურა, მაგრამ მცველმა წამში „გათიშა“ ის, შემდეგ შვიდმა სეკიურიტმა გვირაბით გაიყვანა, თასი კი ფუტლიარში მოათავსეს.

როგორც დაადგინეს, ხულიგანი გულშემატკივარი იყო 34 წლის ესპანელი ხაუმე მარკეტ კოტი, ჯიმი ჯამპსაც რომ ეძახდნენ. მას 2002 წლიდან სერიულ პროვოკატორად მიიჩნევდნენ. ის ერთხელ ესპანეთის მეფის პალატებშიც კი შეიპარა და მეფის უკან გაჩერდა. ბოლოს ის „ევროვიზიაზე“ ოსლოში გამოჩნდა ესპანელების გამოსვლის დროს. ახლა მას „კერძო სამფლობელოში“ შეჭრისთვის და თასის მოპარვის მცდელობისთვის გაასამართლებენ.

# ჩემპიონატის მილიონები




**ფიფამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ფონდისთვის გამოყო საერთო ანგარიშით 131,5 მილიონი ევრო, საიდანაც მსოფლიოს ახალი ჩემპიონის – ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მიიღებს 23,7 მილიონ ევროს, ჰოლანდიას კი 19 მილიონ ევროს გადაუხდიან.**

ნახევარფინალში დამარცხებულნი – გერმანია და ურუგვაი 16-16 მილიონი ევროს მფლობელები გახდებიან. მეოთხედფინალში მონაწილე განა, პარაგვაი, არგენტინა და ბრაზილია თავიანთი ფედერაციებისთვის თითოეული 14,2 მილიონ ევროს მიიღებს.

ფიფას ოფიციალური შემოსავალი, ტელეტრანსლაციათა უფლების გაყიდვის ღირებულების ჩათვლით 3,2 მილიარდი დოლარია, სუფთა მოგება კი დაახლოებით 1 მილიარდია.

# შაკირამ პიკე შეიყვარა

**პოპულარულმა კოლუმბიელმა მომღერალმა ქალმა შაკირამ ერთხელ კიდევ გაიელვა ჩემპიონატზე მისი საზეიმო დახურვის ცერემონიალზე.**

ის ესპანელებს გულშემატკივრობდა, „ისინი ლამაზად თამაშობენ, – განაცხადა ლამაზმანმა მომღერალმა, – ჩემპიონატს სიამოვნებით ვესწრებოდი, ის ხომ ფანტასტიკური გამოვიდა“.

შემდეგ კი მომღერალმა გულშემატკივარმა დაამატა: „მე ძალზე მომწონს, როგორ გააქვს ბურთი დავით ვილიას. მაგრამ მე შემიყვარდა მცველის ჟერარდ პიკეს თამაში. ის ძალზე ლამაზია“.

ალბათ, უკვე მსოფლიო ჩემპიონი პიკე უფრო ლამაზად ითამაშებს და კოლუმბიელ მომღერალსაც უფრო გაახარებს.



ხსოვნა

# აკადემიკოსი კიაზო ნადარეიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი კიაზო ნადარეიშვილი.

კიაზო ნადარეიშვილი დაიბადა 1929 წლის 14 იანვარს სენაკში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. გერმანიიდან სამხედრო-სამედიცინო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ 1957 წლიდან ბატონი კიაზო ნადარეიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან დირექტორის მოადგილემდე სამეცნიერო დარგში. 1972 წლიდან ხელმძღვანელობას უწევდა რადიობიოლოგიის განყოფილებას. 1992 წლიდან 2005 წლამდე იგი გახლდათ რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ხოლო 2005 წლიდან გარდაცვალებამდე ს.ს.ი.პ. რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.



სადოქტორო დისერტაცია კიაზო ნადარეიშვილმა 1969 წელს დაიცვა.

ბატონი კიაზო ნადარეიშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი გახლდათ 1990 წლიდან.

აკადემიკოსი კიაზო ნადარეიშვილი რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის დარგის ფუძემდებელია საქართველოში და შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი. მას განსაკუთრებული აღიარება მოუტანა რადიაციული ნეირობიოლოგიისა და რადიაციული კარდიოლოგიის დარგში ჩატარებულმა ფუნდამენტურმა სამეცნიერო კვლევებმა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რადიაციული ფიზიოლოგიის და ექსპერიმენტული მედიცინის განვითარებაში.

აკადემიკოს კიაზო ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული და გამოქვეყნებული იქნა მრავალი მონოგრაფია, ასეულობით სამეცნიერო ნაშრომი, ენციკლოპედიური ცნობარები და ბიბლიოგრაფიული კრებულები. მის ერთ ერთ ნაშრომს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია აქვს მინიჭებული. იგი გახლდათ სამეცნიერო გამოცემების „ბიოსამედიცინო ტექნიკის“ და „რადიაციული გამოკვლევების“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მის მიერ იქნა დაარსებული არაერთი სამეცნიერო ლაბორატორია, ცენტრი, საზოგადოება და ასევე დარგობრივი „ეკოლოგიურ მეცნიერებათა“ აკადემია.

აკადემიკოს კიაზო ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია არის დაცული.

ქართული მეცნიერების დარგში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი კიაზო ნადარეიშვილი 1999 წელს დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით. აკადემიკოს კიაზო ნადარეიშვილის გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

დავით ბაქრაძე, ნიკოლოზ გილაური, დიმიტრი შაშკინი, თამაზ გამყრელიძე, ფრიდონ თოდუა, რუსუდან კერვალიშვილი, გიგი წერეთელი, გურამ თევზაძე, ოთარ ნათიშვილი, თეიმურაზ იოსელიანი, ვაჟა ოკუჯავა, თენგიზ ონიანი, ნოდარ ყიფშიძე, მიხეილ ხანანაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ლაური მანაგაძე, ქეთევან ნემსაძე, ზურაბ ქევანიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რომან შაქარიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი

კიაზო ნადარეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 14 VII, 17 სთ. მისამართი: მუხაძის 6, ვაკის პარკთან. გამოსვენება ბინიდან 15 VII, 15 სთ.

# მერაბ ნებიერიძე



ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის კოლექტივმა მძიმე დანაკლისი განიცადა – ტრაგიკულად დაიღუპა ყოფილი თანამშრომელი, ექიმი-სექსოპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მერაბ ნებიერიძე.

ექიმი მერაბ ნებიერიძე ინსტიტუტში მოღვაწეობდა ძირითადად 80-იან წლებში. იგი პირნათლად ასრულებდა ინსტიტუტში სწავლული მდივნის მოვალეობას, რითაც გვერდში ედგა ახალგაზრდა დისერტანტების კოლექტივს. ანდროლოგიის დარგის მზარდმა განვითარებამ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში განაპირობა და საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ერთ-ერთი წამყვანი დარგის – სექსოპათოლოგიის განვითარებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასპექტში. მერაბ ნებიერიძემ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ დარგის მიმართ და მოკლე დროში ჩამოყალიბდა ექიმ-სექსოპათოლოგად.

ექიმი მერაბ ნებიერიძე ინსტიტუტში წლების მანძილზე სარგებლობდა თანამშრომელთა სიყვარულით, ავტორიტეტით და პატივისცემით. იგი გამოირჩეოდა არა მარტო როგორც კვალიფიციური ექიმი-სპეციალისტი, არამედ როგორც ფართო ერუდიციის – მუსიკისა და ლიტერატურის ღრმა მცოდნე ინტელიგენტი.

სიცოცხლის ბოლო წლებში პროფ. მერაბ ნებიერიძე იყო საქართველოს სუჯუკ-თერაპიისა და აკუპუნქტურის ასოციაციის პრეზიდენტი. უბედურმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა მისი შინაარსიანი სიცოცხლე. იგი ველარ დაუბრუნდება თავის სამშობლოს, სადაც დაიბადა, აღიზარდა და ჩამოყალიბდა კვალიფიციურ ექიმ-სპეციალისტად.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმი მერაბ ნებიერიძე აღარ მუშაობდა ჩვენს ინსტიტუტში, იგი კვლავ დარჩება ჩვენი კოლექტივის წევრად, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე რჩებოდა ინსტიტუტის პატრიარქად და ზრუნავდა მისი კეთილდღეობისთვის.

ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლექტივის ღვაწლმოსილი წევრის – მერაბ ნებიერიძის გარდაცვალებას.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული!

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის
ს/კ ინსტიტუტის კოლექტივი

## ა უ ქ ც ი ო ნ ი

### მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე IV ლოტად:

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.07.04.794), საწყისი გასაყიდი ფასი – 60 000 (სამოცი ათასი) ლარი.

**II ლოტი:** სოფელ წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.08.21.884), საწყისი გასაყიდი ფასი – 2850 (ორიათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

**III ლოტი:** სოფელ მუხრანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.09.16.001), საწყისი გასაყიდი ფასი – 570 (ხუთას სამოცდაათი) ლარი.

**IV ლოტი:** ქ. მცხეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.07.04.803), საწყისი გასაყიდი ფასი – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**
**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 „ლიბერთი ბანკი“-ს მცხეთის ფილიალი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. ტელ: 51-27-27, 899 22-65-33.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

### მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე ერთ ლოტად:

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 700 კვ.მ. მიწის ფართი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობით (საკადასტრო კოდი: №72.07.04.135) – საწყისი გასაყიდი ფასი – 21 955 (ოცდაერთიათას ცხრაასორმოცდათხუთმეტი) ლარი.

**აღნიშნული ქონების მყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესყიდულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**
**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. ტელ: 51-27-27, 899 22-65-33.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება) საქმე №42-2010

**შორენა სიმონიას (ქუთაისი, სულხან-საბას №37, ბინა №23ძ; ეთერ სიმონიას (ვანის რაიონი, სოფელი გორაძ; მარინა შალამბერიძეს (ქუთაისი, ლენინაკანის №20/118, ბინა №23ძ და შოთა შალამბერიძეს (ქუთაისი, ნ. დუმბაძის მე-15 ჩიხი, №4ძ.**

შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატა“ გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2010 წლის 23 ივლისს, 15.00 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო შორენა სიმონიას და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, მისამართი ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

## ყველაფერი ყველაფერზე

### მარტოხელა დონ ჟუანი

**20-იანი წლების ამერიკას მასზე პოპულარული მსახიობი არა ჰყავდა. მისი თაყვანისმცემელი ქალები ღვთაებრივ ვალენტინოს ეძახდნენ – სილამაზის, მომხიბვლელობისა და ტალანტისათვის.**



**სულ 31 წელი იცოცხლა, 8 წელი მსახიობი იყო, მაგრამ ამ მცირე დროის მანძილზე მართლაც რომ არაბუნებრივი, გრანდიოზული სახელი მოიხვეჭა.**

რუდოლფო გულიემინი აპულიაში, სამხრეთი იტალიის ერთ-ერთ ღარიბეს მხარეში დაიბადა. შემდეგ, როდესაც განთქმული მსახიობი გახდა, ამტკიცებდა, რომ იგი არისტოკრატია და მისი ნამდვილი სახელია რუდოლფო ალფონზო რაფაელო პიერ ფილიბერტ გულიემინი და ვალენტინო დანტონუოლო. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მოგონილი იყო.

1913 წლის მიწურულში, იტალიაში რომ კარგს არაფერს ელოდა, 18 წლის რუდოლფო ამერიკაში გაემგზავრა. ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა იყო. ქუჩაში წვრილვაჭრობდა, მებაღედაც მუშაობდა, ჭურჭელსაც რეცხავდა. ბოლოს უშველა არაჩვეულებრივმა სილამაზემ, რომელიც ქალებს ჭკუას აკარგვინებდა, კაფე „მაქსიმში“ ყოველ საღამოს ცეკვავდა, რამდენიმე კილოგრამს კარგავდა, ამასთან რუდოლფოსთან ცეკვის მსურველი ქალების მთელი რიგი დგებოდა.

ჰოლივუდში პირველად სტატისტად მოეწყო, შემდეგ რეჟისორებმა გამოარჩიეს და პატარ-პატარა როლებიც მისცეს. ერთ ფილმს გარდაუვალი მარცხი ელოდა, მაგრამ რუდოლფო ვალენტინო გასაოცარმა სილამაზემ გადაარჩინა. ეკრანზე იგი გაუჩოს ეგზოტიკური კოსტიუმით გამოდიოდა და არგენტინულ ტანგოს შეუდარებლად ასრულებდა. ამის შემდეგ ერთი ტრიუმფი მეორეს მოჰყვა. „იუნაიტედ არტისტი“ ახლა თითოეულ ფილმში უკვე იმ დროისთვის ზღაპრულ თანხას – 200 ათას დოლარს უხდიდა.

ამდენი ქალის მიერ გაღმერთებული რუდოლფო ვალენტინო პირად ცხოვრებაში უიღბლო იყო. მას მარტოხელა დონ ჟუანსაც კი უწოდებდნენ, ამავე დროს „ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ლათინი მოტრფიალე“, უსაზღვრო ქონების პატრონი თავს თითქმის უბედურად გრძნობდა. როცა იგი 1927 წლის 23 აგვისტოს გარდაიცვალა, გაზეთები წერდნენ, რომ „დონ ჟუანი მეორედ მოკვდა“.

### რა დატოვა ვალენტინომ?!

**ჟურნალისტებმა სულ მისხალ-მისხალ აღწერეს, რა დატოვა რუდოლფო ვალენტინომ, რომელსაც ადრე დანიშნულები კი ჰყავდა, მაგრამ არ დარჩა არც ცოლი და არც შვილი. განთქმული მსახიობი პოლა ნეგრი თავს ვალენტინოს საცოლედ კი თვლიდა, მაგრამ მხოლოდ სამგლოვიარო ცერემონიაზე დასწრება მოუხდა.**

რუდოლფო ვალენტინოს დარჩა დიდი ვილა ბევერლი-ჰილზში, რვა ავტომანქანა, ხუთი ცხენი, იახტა, თორმეტი ჯიშიანი ძაღლი, სამი ასეული ჰალ-



სტუხი, ორი ათასი პერანგი და რამდენიმე ათასი სასიყვარულო წერილი. რამდენიმე მათგანი, როგორც აღმოჩნდა, მონაზვნებმაც კი მისწერეს.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი 14 ივლისი

**ხსენება წმიდა ნერსე მთავარეპისკოპოსისა. წმიდა და საკვირველმოქმედთა უვერცხლოთა კოზმა და დამიანესი – რომსა შიდა წამებულთა (284ძ; წმიდა მოწამე პოტიტე ყრმისა (Iძ, ღირსი პეტრე პატრიკყოფილისა (854ძ.**



ამოდის 04.36
ჩადის 19.37



ამოდის 02.42
ჩადის 18.31

### დაიბადნენ:

**1602 – ჯულიო მაზარინი,** საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, კარდინალი. გარდაიცვალა 1661 წელს.
**1743 – გავრილ დერჟავინი,** რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1816 წელს.
**1861 – ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილიძ,** დიდი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.
**1888 – ქაქუცა ჩოლოყაშვილი,** ეროვნული გმირი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. გარდაიცვალა 1930 წელს.
**1896 – დავით წერეთელი,** ქართველი ფერმწერი. გარდაიცვალა 1980 წელს.
**1918 – ინგმარ ბერგმანი,** შვედი კინორეჟისორი.
**1928 – ნოდარ დუმბაძე,** გამოჩენილი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1984 წელს.
**1942 – ხავიერ სოლანა,** ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი.

### გარდაიცვალნენ:

**1968 – კონსტანტინ პაუსტოვსკი,** რუსი მწერალი. დაიბადა 1892 წელს.

### მოვლენები:

**1099** – პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა დაიპყრეს იერუსალიმი და ამოხოცეს ყველა მუსლიმი და ებრაელი.
**1789** – საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული – ტირანიის სიმბოლოს – ბასტილიის ციხე-სიმაგრის აღების დღე. დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია.
**1960** – ამ დღეს ვინმე მინიბაევმა ლენინის მავზოლეუმში წიხლი ჩაარტყა ბელადის სარკოფაგს და მინა ჩაამსხვრია.
**1969** – სალვადორსა და ჰონდურასს შორის დაიწყო „ფეხბურთის ომი“. მისი საბაბი გახდა ჰონდურასის უკმაყოფილება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მსაჯობით.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**საფრანგეთი** – ბასტილიის აღების დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8439 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3360 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7979 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9876 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0156 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2942 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3317 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1699 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7235 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +26 – +38 |
| ქუთაისი. | +24 – +32 |
| ბათუმი. | +23 – +27 |
| ზუგდიდი. | +24 – +29 |
| თელავი. | +22 – +34 |

## კადრი



## ანეკდოტები

პიანინოს ამწყობი ინსტრუმენტს აწყობს ფსიქიატრიული საავადმყოფოს დასასვენებელ ოთახში. მალე იქ კიდევ ერთი კაცი შემოდის და ტელევიზორს რთავს. მაღალ ხმაზე ჩართული ტელევიზორი პიანინოს ამწყობს ხელს უშლის მუშაობაში, მაგრამ ცდილობს, უსიამოვნებას თავი აარიდოს და უსიტყვოდ გამორთავს ტელევიზორს. კაცმა უცნაურად შეხედა ამწყობს და კვლავ ჩართო ტელევიზორი. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

პირველად ამწყობს უღალატა ნერვებმა:
– მომისმინეთ, გეთაყვა, მე პიანინო მაქვს ასაწყობი და სიჩუმე მჭირდება.



ამის გაგონებაზე მეორე კაცს გაეცინა:
– მე ხელოსანი ვარ და ტელევიზორის შესაკეთებლად გამომიძახეს. მეგონა, თქვენ გიჟი იყავით და ტყუილად ახმაურებდით კლავიშებს.

* * *

თურმე მოტოციკლისტებსა და კოლოებს ბევრი რამ ჰქონიათ საერთო. ერთის ატანაც შეიძლება და მეორისაც, რომ არა ის საზიზღარი ხმა, რომელიც მათს საქმიანობას ახლავს.

* * *

თითქმის ყოველ ოფისში მოიძებნება ერთი ქალი მაინც, რომელიც ორმოცგრადუსიან სიცხეშიც კი გამორთავს კონდიციონერს – მცივაო, მაგრამ თუ ვინმე კოფთას შესთავაზებს – მოისხიო, განაწყენდება, – გიჟი კი არა ვარ, ზაფხულში კოფთა მეცვასო.

* * *

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ ძალიან ჰგავხართ ჩემს მესამე ქმარს.
– კი, მაგრამ, ქალბატონო, რამდენი ქმარი გყავდათ?
– ჯერჯერობით – ორი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.